პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 187 (9655) | კვირა, 9 აგვისტო, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

გუშინ მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც მთავრობამ შემოიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამ სესიის განსახილველად, მთლიანად უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის განვითარების დავალებათა დაფინანსებას 1953 წელს — მეხუთე ხუთწლედის მესამე წელს, ხუთწლედისა, რომლის შესრულება უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე.

სახელმწიფო ბიუჯეტი ასახავს საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი პარტიის პოლიტიკას, რომლის მიზანია სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარება და განუხრელი აღმავლობა.

ბიუჯეტის მთელი შემოსავლიდან, რომელიც შეადგენს 543 მილიარდ 357 მილიონ მანეთს, უდიდესი ნაწილი — 86 პროცენტი — მიღებული იქნება მრეწველობიდან, სოფლის მეურნეობიდან და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან. თავის მხრივ ბიუჯეტის გასავალშიც ყველაზე დიდი მუხლია სახალხო მეურნეობის დაფინანსება.

სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის 1953 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 192,5 მილიარდი მანეთი, ანუ ბიუჯეტის მთელი ხარჯების 36 პროცენტზე მეტი, ნაცვლად შარშანდელი 178,8 მილიარდი მანეთისა. საბიუჯეტო ასიგნობათა გარდა, სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად, ამავე მიზნებს მოხმარდება თითქმის 98 მილიარდი მანეთი საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი სახსრები, რომლებიც შედგება მათი მოგებიდან და სხვა წყაროებიდან. ამრიგად, მიმდინარე წელს სახალხო მეურნეობის დაფინანსებას სულ მოხმარდება 290 მილიარდ მანეთზე მეტი, ნაცვლად 1952 წლის 265 მილიარდი მანეთისა. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ფასების განხორციელებული შემცირების შედეგად მანეთის მყიდველობითი უნარი გადიდდა და, მაშასადამე, სახალხო მეურნეობის დაფინანსების ოდენობა რეალურად კიდევ უფრო მეტად დიდდება.

სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრები უზრუნველყოფენ სახოგადოებრივი წარმოების როგორც ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის კიდევ უფრო განმტკიცების საფუძვლის განუწყვეტელ ზრდას.

სახელმწიფო ბიუჯეტი ასახავს საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვას მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისთვის.

განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა, პენსიების ხარჯები, აგრეთვე მოსახლეობისათვის სესხებზე მისაცემი თანხები წელს შეადგენს 139,5 მილიარდ მანეთს, ნაცვლად 1952 წლის 129,6 მილიარდი მანეთისა. გარდა ამისა, ბიუჯეტიდან გაწეულია ხარჯები სახელმწიფო საცალო ფასების შესამცირებლად, რაც მოსახლეობისათვის უზრუნველყოფს წელიწადზე გაანგარიშებით 46 მილიარდ მანეთზე მეტ სარგებლობას, და სხვა ღონისძიებანი, რომელთა უშუალო მიზანია ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება.

საერთო ანგარიშით მოსახლეობა მიმდინარე წლის ბიუჯეტით მიიღებს 192 მილიარდ მანეთს, რაც შეადგენს ბიუჯეტის მთელი გასავლის 36 პროცენტზე მეტს, ნაცვლად შარშანდელი 147 მილიარდი მანეთისა. ამავე დროს მშრომელები თავიანთი პირადი შემოსავლიდან გადასახადთა და გამოსაღებთა სახით, აგრეთვე სესხზე ხელმოწერით ბიუჯეტში შეიტანენ 65 მილიარდ მანეთს, ანუ 21 მილიარდი მანეთით ნაკლებს, ვიდრე შარშან. ამრიგად, მიმდინარე წელს მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები ბიუჯეტიდან მიიღებენ 127 მილიარდი მანეთით მეტს, ვიდრე ისინი ბიუჯეტში შეიტანენ თავიანთი პირადი შემოსავლიდან; 1952 წელს მოსახლეობამ 61 მილიარდი მანეთით მეტი მიიღო, ვიდრე ბიუჯეტში შეიტანა.

სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია თავდაცვის ხარჯები 110,2 მილიარდი მანეთის ოდენობით. ეს თანხა შეადგენს ბიუჯეტის მთელი ხარჯების 20,8 პროცენტს, ნაცვლად 1952 წლის 23,6 პროცენტისა.

შემოაქვს რა ასიგნებათა თავდაცვის ხარჯების აღნიშნული თანხა, მთავრობა ემყარება იმას, რომ ჩვენ მოვალენი ვართ დაუცხრომლად სრულყოფდეთ და განვამტკიცებდეთ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს, რათა უზრუნველყოთ ჩვენი სამშობლოს უშიშროება და მზად ვიყოთ გამანადგურებელი პასუხი გავცეთ აგრესორს, რომელიც მოისურვებდა დაერღვია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრება. (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

I.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში გადაუდებელი ამოცანებისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ამხანაგებო! ბიუჯეტის განხილვასთან დაკავშირებით მე მსურს ვილაპარაკო ზოგიერთ გადაუდებელ ამოცანაზე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში, რომელთა გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს უფრო წარმატებით განვახორციელოთ ჩვენი მთავარი ამოცანა — მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველყოფა.

1953 წლის პირველი ნახევრის სამეურნეო შედეგები, ისევე როგორც გასული 1951 და 1952 წლების შედეგები, ცხადყოფენ, რომ ჩვენი მრეწველობა წარმატებით ასრულებს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალებებს. სამრეწველო წარმოების მოცულობა 1953 წელს დაახლოებით ორნახევარჯერ მეტი იქნება, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

მძიმე მრეწველობის ძირითადი დარგების პროდუქციის წარმოების ზრდა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით.

1953 წელს გამოშვებულ იქნება: ფოლადი 38 მილიონ ტონაზე მეტი, ანუ ორნახევარჯერ და უფრო მეტი, ვიდრე 1940 წელს; ქვანახშირი ამოღებულ იქნება 320 მილიონ ტონაზე მეტი, ანუ 93 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს; ნავთობი მოპოვებულ იქნება 52 მილიონ ტონაზე მეტი, ანუ თითქმის 70 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს; ცემენტი გამოშვებულ იქნება 16 მილიონ ტონაზე მეტი, ანუ თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს; ელექტროენერგია გამომუშავებულ იქნება 133 მილიარდი კილოვატსაათი, ანუ 2,8-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს. ქიმიური მრეწველობის პროდუქცია 1953 წელს 1940 წელთან შედარებით გაიზრდება ერთიანად, მანქანებისა და მოწყობილობის წარმოება 3,8-ჯერ.

რაც შეეხება მოხმარების საგნების წარმოებას, ჩვენ შემდეგი სურათი გვაქვს.

1953 წელს დამზადდება: ბამბეულის ქსოვილები 5 მილიარდი 300 მილიონი მეტრი, ანუ 34 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს; შალის ქსოვილები 200 მილიონ მეტრზე მეტი, ანუ დაახლოებით 70 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს; აბრეშუმის ქსოვილები 400 მილიონ მეტრზე მეტი, ანუ ხუთჯერ და უფრო მეტი, ვიდრე 1940 წელს; შაქარი 3 მილიონი 600 ათასი ტონა, ანუ თითქმის 70 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს; ერბო-კარაქი 400 ათასი ტონა, რაც თითქმის 80 პროცენტით აღემატება ერბო-კარაქის სამრეწველო წარმოებას ომამდელ დონეს.

ეს მონაცემები თვალნათლივ მოწმობენ ჩვენი მრეწველობის მიერ მიღწეულ წარმატებებს.

ცნობილია, რომ პარტიამ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმე დაიწყო მძიმე მრეწველობის — მეტალურგიის, სათბობი და ენერგეტიკული მრეწველობის გაჩაღებით, საკუთარი მანქანათმშენებლობის განვითარებით. უამისოდ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაზე. პარტია მტკიცედ და განუხრელად ახორციელებდა თავის ხაზს ტროცკისტების და მემარჯვენე კაპიტულანტებისა და გამცემლების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ილაშქრებდნენ მძიმე მრეწველობის მშენებლობის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ მძიმე მრეწველობიდან სახსრების გადატანას მსუბუქ მრეწველობაში. ამ წინადადებათა მიღება იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ დგვეღუპა ჩვენი რევოლუცია, დგვეღუპა ჩვენი ქვეყანა, რადგან ჩვენ უიარაღონი აღმოვჩნდებოდით კაპიტალისტური გარემოცვის წინაშე.

გაიხსენეთ, ამხანაგებო, რას წარმოადგენდა ჩვენი მრეწველობა, როცა პარტიამ აიღო ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კურსი.

პარტიის XIV ყრილობის წინ — 1924-25 სამეურნეო წელს — საბჭოთა კავშირში ადნობდნენ მხოლოდ 1 მილიონ 868 ათას ტონა ფოლადს, იღებდნენ სულ 16 მილიონ 520 ათას ტონა ქვანახშირს, ელექტროსადგურები იმუშავებდნენ 3 მილიარდ კილოვატსაათზე ნაკლებ ელექტროენერგიას. შავი და ფერადი ლითონების წარმოების, ქვანახშირისა და ნავთობის მოპოვების და ელექტროენერგიის წარმოების მხრივ ჩვენ უკანასკნელ ადგილზე ვიყავით დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან შედარებით. ჩვენ არ გვქონდა სატრაქტორო, საავტომობილო, საავიაციო და ჩარხმშენებელი მრეწველობა, არ გვქონდა რამდენადმე სერიოზული ქიმიური მრეწველობა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება.

ახლა ჩვენს ქვეყანას აქვს მძლავრი, ტექნიკურად სრულყოფილი მძიმე ინდუსტრია.

პარტიის XIV ყრილობის შემდეგ განვლილი 28 წლის მანძილზე სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 29-ჯერ. ახლა 21-ჯერ მეტ ფოლადს ვუშვებთ, 19-ჯერ მეტ ქვანახშირს ვიღებთ, 45-ჯერ მეტ ელექტროენერგიას ვაწარმოებთ, ვიდრე 1924-25 წელს. კიდევ უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა ქიმიური მრეწველობა და მანქანათმშენებლობა, რომელთა მეტი წილი დარგები ახლად არის შექმნილი.

ამ ხნის განმავლობაში შექმნილია ახალი ინდუსტრიული ცენტრები ვოლგისპირეთში, ურალში, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, ევროპული ჩრდილოეთის რაიონებში, ყაზახეთში, შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. ჩვენ განვითარებული მძიმე მრეწველობა გვაქვს ჩვენი ქვეყნის ყველა ეკონომიურ რაიონში.

მძიმე ინდუსტრიის პირველ რიგში განვითარების ამოცანის გადაწყვეტამ ძირეულად შეცვალა მძიმე და მსუბუქი მრეწველობის თანაფარდობა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში.

მძიმე მრეწველობაში ამჟამად ჩაბმულია ყველა სამრეწველო მუშის დაახლოებით 70 პროცენტი. თუ 1924-25 წელს წარმოების საშუალებათა წილი სსრ კავშირის მთელი მრეწველობის პროდუქციაში 34 პროცენტს შეადგენდა, მეორე ხუთწლედის დამლევისათვის — 1937 წელს იგი უკვე შეადგენდა 58 პროცენტს, ხოლო 1953 წელს — დაახლოებით 70 პროცენტს.

ამრიგად, ხვედრითი წონა მძიმე მრეწველობისა, რომელიც 1924-25 წელს, ისევე როგორც რევოლუციამდელ რუსეთში, სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის მხოლოდ ერთ მესამედს შეადგენდა, ახლა ორ მესამედზე მეტს შეადგენს.

მძიმე ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად ჩვენს ქვეყანაში იზრდებოდა და ვითარდებოდა რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტი; შექმნილია საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტი. 1925 წლიდან 1953 წლამდე ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გაიზარდა 13,5-ჯერ, ამასთან რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გაიზარდა 15-ჯერ და უფრო მეტად.

ჩვენ კვლავაც ყოველი ღონისძიებით განვავითარებთ მძიმე მრეწველობას — მეტალურგიას, სათბობ, ენერგეტიკულ, ქიმიურ, სატყეო მრეწველობას, მანქანათმშენებლობას, სამშენებლო ინდუსტრიას, განვავითარებთ და გავაუმჯობესებთ ჩვენს ტრანსპორტს. ჩვენ ვალდებული ვართ ყოველთვის გვახსოვდეს, რომ მძიმე ინდუსტრია ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძველია, რადგან მის განუვითარებლად ვერ უზრუნველვყოფთ მსუბუქი მრეწველობის შემდგომ ზრდას, სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების ზრდას და ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

ახლა მძიმე მრეწველობის განვითარებაში მიღწეულ წარმატებათა ბაზაზე ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ მოვაწყოთ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობა.

ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს გავაკეთოთ ეს და კიდევაც უნდა გავაკეთოთ. უკანასკნელი 28 წლის მანძილზე წარმოების საშუალებათა წარმოება მთლიანად ჩვენს ქვეყანაში გადიდდა დაახლოებით 55-ჯერ, სახალხო მოხმარების საგნების წარმოება კი ამავე პერიოდში გადიდდა მხოლოდ დაახლოებით 12-ჯერ. 1953 წლის წარმოების დონის შედარება ომამდელი 1940 წლის დონესთან გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდში წარმოების საშუალებათა წარმოება გაიზარდა სამჯერ და უფრო მეტად, ხოლო მოხმარების საგნების წარმოება — 72 პროცენტით.

მოხმარების საგნების წარმოების მიღწეული მოცულობა ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს. დღემდე ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, რომ მსუბუქი და კვების მრეწველობა ისეთივე ტემპით განგვევითარებინა, როგორც მძიმე მრეწველობა. ამჟამად ჩვენ შეგვიძლია და, მაშასადამე, მოვალენი ვართ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის უფრო სწრაფი ამაღლების უზრუნველყოფისათვის ყოველი ღონისძიებით დავაჩქაროთ მსუბუქი მრეწველობის განვითარება.

ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩვენ კაპიტალდაბანდებებს უმთავრესად ვახმარდით მძიმე ინდუსტრიისა და ტრანსპორტის განვითარებას. ხუთწლედების მანძილზე, ესე იგი 1929 წლიდან 1952 წლამდე, კაპიტალურ მშენებლობაში და მოწყობილობის შეძენაზე დაბანდებული იყო სახელმწიფო სახსრები თანამედროვე ფასებზე გადაანგარიშებით: მძიმე მრეწველობაში — 638 მილიარდი მანეთი, ტრანსპორტში — 193 მილიარდი მანეთი, მსუბუქ მრეწველობაში — 72 მილიარდი მანეთი და სოფლის მეურნეობაში — 94 მილიარდი მანეთი.

მთავრობას და პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნიათ მნიშვნელოვნად გაადიდონ სახსრების დაბანდება მსუბუქი, კვებისა და კერძოდ თევზის მრეწველობის განვითარებისათვის, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის და მნიშვნელოვანი გადიდების მიმართულებით შეასწორონ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების დავალებანი, უფრო ფართოდ ჩაებან მოხმარების საგნების წარმოებაში მანქანათმშენებელი საწარმოები და მძიმე მრეწვილობის სხვა საწარმოები.

გადაუდებელი ამოცანაა ის, რომ ორი-სამი წლის მანძილზე მკვეთრად ავამაღლოთ მოსახლეობის უზრუნველყოფა სასურსათო და სამრეწველო საქონლით — ხორცითა და ხორცის პროდუქტებით, თევზითა და თევზის პროდუქტებით, ერბო-კარაქით, შაქრით, საკონდიტრო ნაწარმით, ქსოვილებით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ჭურჭლით, ავეჯითა და სხვა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო საგნებით, მნიშვნელოვნად გავადიდოთ მოსახლეობის უზრუნველყოფა სახალხო მოხმარების ყველა საქონლით. (მქუხარე ტაში).

როგორც ცნობილია, მეხუთე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 1955 წელს მოხმარების საგნების წარმოება გადიდდეს დაახლოებით 65 პროცენტით 1950 წელთან შედარებით. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს გავაჩაღოთ სახალხო მოხმარების საგნების წარმოება ისეთი მასშტაბით, რომ გაცილებით ადრე შევასრულოთ ხუთწლიანი გეგმის ეს დავალება.

მაგრამ არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მოხმარების საგნების წარმოების მარტო რაოდენობრივი ზრდით. არანაკლები მნიშვნელობა აქვს სახალხო მოხმარების ყველა სამრეწველო საქონლის ხარისხის საკითხს.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ჩამოვრჩით ფართო მოხმარების საქონლის ხარისხის მხრივ და სერიოზულად უნდა გამოვასწოროთ ეს საქმე. ბევრი საწარმო ჯერ კიდევ უშვებს არადამაკმაყოფილებელი ხარისხის პროდუქციას, რომელიც არ შეესაბამება საბჭოთა მომხმარებლის მოთხოვნებსა და გემოვნებას.

მასობრივი მოხმარების საქონელი, რომელსაც ჩვენი მრეწველობა უშვებს, თუმცა, როგორც წესი, განირჩევა სიმკვიდრით, მაგრამ გამოყვანისა და გარეგნობის მხრივ ბევრი რამ აკლია. მრეწველობის მუშაკთა სამარცხვინოდ მყიდველი ხშირად ამჯობინებს შეიძინოს უცხოეთის წარმოების საქონელი მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ლამაზად არის გამოყვანილი. ამავე დროს ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს ვაწარმოოთ კარგი ხარისხისა და ლამაზი ქსოვილები, კარგი ხარისხისა და ლამაზი ტანსაცმელი, მკვიდრი და ლამაზი ფეხსაცმელი; ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს კარგად გამოვიყვანოთ ყველა საქონელი, რომელიც ხმარდება ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

საბჭოთა ხალხს უფლება აქვს მოგვთხოვოს და პირველ რიგში მოსთხოვოს მასობრივი მოხმარების საგნების მწარმოებელი მრეწველობის მუშაკებს გამძლე, კარგად გამოყვანილი, მაღალხარისხოვანი საქონელი. ჩვენ მოვალენი ვართ ამ მოთხოვნას საქმით ვუპასუხოთ. თვითეული საწარმოს მოვალეობაა გამოუშვას მაღალი ხარისხის პროდუქცია, მუდამ ზრუნავდეს ნაწარმის კარგი ხარისხისა და გარეგნულად კარგად გამოყვანისათვის.

ამოცანა ის არის, რომ სწრაფად შემოვაბრუნოთ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების საქმე, უზრუნველვყოთ მსუბუქი და კვების მრეწველობის უფრო სწრაფი განვითარება.

მაგრამ იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ სახალხო მოხმარების საგნების წარმოების სწრაფი აღმავლობა, ჩვენ უწინარეს ყოვლისა უნდა ვიზრუნოთ სოფლის მეურნეობის. შემდგომი განვითარებისა და აღმავლობისათვის, სოფლის მეურნეობისა, რომელიც ამარაგებს მოსახლეობას სურსათით, ხოლო მსუბუქ მრეწველობას ნედლეულით.

ჩვენმა სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ დიდი წარმატებანი მოიპოვა თავის განვითარებაში. წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა, დიდდება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება.

ჩვენი ქვეყანა უზრუნველყოფილია პურით. ომამდელ დროსთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა ბამბის, შაქრის ჭარხლისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადებანი. 1952 წელს დამზადებულ იქნა 3 მილიონი 770 ათასი ტონა ნედლი ბამბა, ანუ 1,7-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს; 22 მილიონი ტონა შაქრის ჭარხალი, ანუ თითქმის 30 პროცენტით მეტი, ვიდრე 1940 წელს. ხორცის სახელმწიფო დამზადებამ შარშან შეადგინა 3 მილიონი ტონა, რაც ერთნახევარჯერ აღემატება 1940 წლის დამზადებას, რძის დამზადებამ — 10 მილიონი ტონა, ანუ თითქმის 1,6-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს. სახელმწიფო დამზადებათა გარდა, ჩვენი სოფლის მეურნეობა ასაღებს დიდძალ ხორცს, რძესა და კვების სხვა პროდუქტებს კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის საშუალებით.

წელს ორგანიზებულად და წარმატებით მიმდინარეობს პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება.

დიდი წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობის აღჭურვაში ახალი თანამედროვე ტექნიკით, რამაც შესაძლებლობა მოგვცა განგვიხორციელებინა ბევრი სახეობის სამუშაოს სრული მექანიზაცია, შეგვემსუბუქებინა კოლმეურნე გლეხობის შრომა და უფრო ნაყოფიერი გაგვეხადა იგი.

სოფლის მეურნეობის წარმატებანი მნიშვნელოვანია, ისინი წარმოადგენენ ჩვენი კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობების, ჩვენი სოციალისტური წყობილების უდავო მონაპოვარს.

მაგრამ სერიოზული შეცდომა იქნებოდა არ დაგვენახა სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დარგების ჩამორჩენა, ვერ შეგვემჩნია ის, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ახლანდელი დონე არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის გაზრდილ ტექნიკურ აღჭურვილობას და იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც საკოლმეურნეო წყობილება შეიცავს.

ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია კოლმეურნეობები და მთელი რაიონებიც კი, სადაც სოფლის მეურნეობა თავმინებებულია; ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონში კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მარცვლეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალ მოსავალს იღებენ და მოსავლის აღებისას დიდი დანაკარგები აქვთ; საზოგადოებრივი მეურნეობის სუსტი განვითარების შედეგად კოლმეურნეობათა ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს საკმაო ნატურალური და ფულადი შემოსავალი და კოლმეურნეებს შრომადღეზე ცოტას აძლევს ფულს, მარცვლეულსა და სხვა პროდუქტებს.

უნდა ვაღიაროთ, რომ მეცხოველეობის განვითარების საქმეში ყველაფერი რიგზე ვერ არის და ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ ვაკმაყოფილებთ მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას ხორცზე, რძეზე, კვერცხსა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებზე. ცნობილია, რომ ომამდელ წლებშიც მეცხოველეობა საკმაოდ არ იყო განვითარებული. ომის შემდეგ, თუმცა გაწეულ იქნა მნიშვნელოვანი მუშაობა პირუტყვის სულადობის აღდგენისა და შემდგომი გადიდებისათვის, მაგრამ მეცხოველეობის განვითარების საქმეში ჩამორჩენა დღემდე არ არის დაძლეული. სულადობის ზრდის ტემპი საკმარისი არ არის, ხოლო პირუტყვის პროდუქტიულობა ჯვლავ დაბალია. ბევრ კოლმეურნეობაში საზოგადოებრივი მეცხოველეობა ჯერ კიდევ არ გამხდარა მეურნეობის მაღალპროდუქტიული და მაღალშემოსავლიანი დარგი, როგორიც იგი უნდა იყოს. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს კოლმეურნეობათა ეკონომიურ მდგომარეობაზე და ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას.

სერიოზული ჩამორჩენაა ბგრეთვე კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში, რაც ხელს უშლის ამ პროდუქტებით ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების საქმეს, თუ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ კარტოფილის ნაკლებობა აფერხებს მეცხოველეობის განვითარებას.

ჩვენი უმნიშვნელოვანესი მოვალეობა ის არის, რომ უმოკლეს ვადაში მოვუოროთ ბოლო სოფლის მეურნეობის თავმინებებულ მდგომარეობას ჩამორჩენილ რაიონებსა და კოლმეურნეობებში, უზრუნველვყოთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის სწრაფი განვითარება და განმტკიცება და ამ საფუძველზე მნიშვნელოვნად გავადიდოთ კოლმეურნეთა შრომადღეებზე ფულის, პურისა და სხვა პროდუქტების გაცემა.

ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ შეუწყნარებელი ჩამორჩენა მეცხოველეობის განვითარებაში. შევქმნათ მტკიცე საკვები ბაზა, უზრუნველვყოთ პირუტყვისა და ფრინველის სულადობა ბინებით, მივაღწიოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობის მკვეთრ გადიდებას და პირუტყვის, განსაკუთრებით ძროხის, სულადობის ზრდის უფრო მაღალ ტემპებს.

ჩვენ უნდა დავძლიოთ ჩამორჩენა კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში, რათა სერიოზულად გავაუმჯობესოთ ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის მომარაგება ამ პროდუქტებით და უახლოეს

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაგზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვა

(გაგრძელება)

ორ წელიწადში კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოება ავიყვანოთ ისეთ ოდენობამდე, რომელიც მთლიანად დაკმაყოფილებს არა მარტო მოსახლეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის მოთხოვნილებას ამ მხრივ, არამედ მეცხოველეობის საჭიროებასაც კარტოფილის მხრივ.

ჩვენ მოვალენი ვართ უზრუნველვყოთ მარცვლეულის წარმოების შემდგომი უფრო სწრაფი ზრდა, ამასთან მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ეს ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას არა მარტო იმისათვის, რომ დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება პურზე, არამედ აგრეთვე მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობისათვის და ტექნიკური კულტურების მწარმოებელი რაიონების მარცვლეულით მომარაგებისათვის. მოსავლის დანაკარგებთან ბრძოლის გაძლიერებისა და მარცვლეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფაქტიური მოსავლის გადიდების საზრნით ბოლო უნდა მოეღოს ისეთ არასწორ პრაქტიკას, როცა მარცვლეულისა და სხვა პროდუქციის წარმოების საქმეში კოლმეურნეობათა მუშაობის შედეგები ფასდება არა ფაქტიური მოსავლის მიხედვით, არამედ მხოლოდ სახეობათა მოსავლიანობის მიხედვით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი კოლმეურნეობები შეიღლება მდიდარი იყვნენ ბელელში შენახული მოსავლით და არა აუღებელი მოსავლით. **(ტაში).**

ჩვენ კვლავაც ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ ტექნიკური კულტურების და უწინარეს ყოვლისა ბამბის, სელის, შაქრის ჭარხლისა და ზეთოვანი კულტურების წარმოება.

გადაუდებელი ამოცანაა ის, რომ მთელი სოფლის მეურნეობის საერთო აღმავლობისა და კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საფუძველზე უახლოეს ორ-სამ წელიწადში მიგაღწიოთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას სურსათის სიუხვე მოსახლეობისათვის და ნედლეულისა მსუბუქი მრეწველობისათვის. **(ტაში).**

იმისათვის, რომ წარმატებით გადაიჭრას ეს ამოცანა, მთავრობამ და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნიეს განახორციელონ მთელი რიგი დიდი ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობის უზრუნველსაყოფად და უწინარეს ყოვლისა ღონისძიებანი იმისათვის, რომ გაძლიერდეს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ეკონომიური დაინტერესება სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგების განვითარებით.

არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს არსებული მდგომარეობა, როცა სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგისა და ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების, როგორც, მაგალითად, ბამბის, შაქრის ჭარხლის, ჩაის, ციტრუსების განსავითარებლად ჩვენში შექმნილია საჭირო ეკონომიური სტიმულები კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის, მაშინ როცა მთელი რიგი სხვა კულტურების — კარტოფილის, ბოსტნეულის წარმოებას და განსაკუთრებით ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებას, როგორიც არის მეცხოველეობა,— სახელმწიფო ეკონომიურად საკმაო სტიმულს არ აძლევს. რასაკვირველია, საქმე ეხება არა იმას, რომ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს შევუმციროთ ეკონომიური სტიმულები ბამბის, შაქრის ჭარხლის და სხვა კულტურების წარმოების გასადიდებლად, რომლებსაც სახელმწიფო კარგად ახალისებს. პირიქით, საჭირო იქნება კვლავაც ვიზრუნოთ ამ დიდმნიშვნელოვანი კულტურების წარმოების შემდგომი ყოველმხრივი განვითარებისათვის.

საქმე ეხება იმას, რომ განვახორციელოთ მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა გავადიდოთ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება კარტოფილის, ბოსტნეულის წარმოების და განსაკუთრებით ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებას, როგორიც არის მეცხოველეობა,— სახელმწიფო ეკონომიურად საკმაო სტიმულს არ აძლევს. რასაკვირველია, საქმე ეხება არა იმას, რომ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს შევუმციროთ ეკონომიური სტიმულები ბამბის, შაქრის ჭარხლის და სხვა კულტურების წარმოების გასადიდებლად, რომლებსაც სახელმწიფო კარგად ახალისებს. პირიქით, საჭირო იქნება კვლავაც ვიზრუნოთ ამ დიდმნიშვნელოვანი კულტურების წარმოების შემდგომი ყოველმხრივი განვითარებისათვის.

საქმე ეხება იმას, რომ განვახორციელოთ მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა გავადიდოთ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება კარტოფილის, ბოსტნეულის წარმოების და განსაკუთრებით ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებას, როგორიც არის მეცხოველეობა.

ამ ნაკლოვანებათა გამო, რომლებიც ჩვენ გვაქვს საგადასახადო პოლიტიკაში კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობის მიმართ, უკანასკნელი წლების მანძილზე ადგილი აქვს კოლმეურნეთა შემოსავლის შემცირებას პირადი დამხმარე მეურნეობიდან, საკოლმეურნეო კომლის პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის და განსაკუთრებით ძროხის სულადობის შემცირებას, რაც ეწინააღმდეგება ჩვენი პარტიის პოლიტიკას საკოლმეურნეო მშენებლობის დარგში.

ამასთან დაკავშირებით მთავრობამ და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ მიიჩნიეს დათანხმებულიყვნენ კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობიდან სავალდებულო ჩაბარების ნორმების მნიშვნელოვან შემცირებაზე, გადაწყვიტეს, როგორც ეს უკვე მოგახსენათ ფინანსთა მინისტრმა ამხ. ზვერევმა, შეცვალონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადით კოლმეურნეთა დაბეგვრის სისტემა, შეამცირონ ფულადი გადასახადი საშუალოდ დაახლოებით ერთიერად თვითეულ საკოლმეურნეო კომლზე და მთლიანად მოხსნან გასული წლების სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დარჩენილი დავალიანება. **(ტაში).**

სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია ასიგნობანი მეცხოველეობის პროდუქტების, კარტოფილისა და ბოსტნეულის დასამზადებელი ფასების გასადიდებლად, გათვალისწინებულია შემოსავლის ცვლილებები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ოდენობის და კოლმეურნეთა მიერ მეცხოველეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების შემცირებასთან დაკავშირებით. კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ეკონომიური წახალისების ღონისძიებათა, აგრეთვე საგადასახადო პოლიტიკის დარგში ღონისძიებათა განხორციელებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი უკვე 1953 წელს გადიდდება 13 მილიარდი მანეთით და მეტით, ხოლო სრულ წელიწადზე გაანგარიშებით — 20 მილიარდი მანეთით და მეტით.

სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია აგრეთვე ასიგნობანი სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის საქმის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების, მინერალური სასუქების წარმოების გადიდებისა და კოლმეურნეობებისადმი აგრონომიული და ზოოტექნიკური დახმარების გაძლიერების ახალ დამატებით ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

ეს ღონისძიებები უწინარეს ყოვლისა შემდეგია:

— მტს-ებში ტრაქტორისტების, მემანქანეებისა და სხვა სპეციალობის მუშების მუდმივი კადრების შექმნა, რადგან მექანიზატორთა ასეთი მუდმივი კადრების უყოლობა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ტექნიკის არადამაკმაყოფილებლად გამოყენებისა სოფლის მეურნეობაში;

— სოფლის მეურნეობის მანქანებითა და ტრაქტორებით, განსაკუთრებით სათოხნი მანქანებითა და ტრაქტორებით აღჭურვის გაძლიერება და მტს-ების სარემონტო ბაზის განმტკიცება;

— სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის სამუშაოთა გაფართოება როგორც ახალი სასოფლო ელექტროსადგურების მშენებლობით, ისე სახელმწიფო ენერგოსისტემებთან მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეერთების გზით;

— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მინერალური სასუქების მიწოდების მნიშვნელოვანი გადიდება;

— თვითეული კოლმეურნეობისათვის მუდმივ სამუშაოდ სოფლის მეურნეობის ერთი-ორი სპეციალისტის მიჩენა და მათი შენახვა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შტატებში.

ყველა ეს ღონისძიება დიდად შეუწყობს ხელს კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშე მდგომი მთავარი ამოცანის — ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ყოველი ღონისძიებით გადიდების, პირუტყვის სულადობის ზრდისა და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის გადიდების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გადიდების ამოცანის წარმატებით გადაჭრას.

მიმდინარე წელს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სახელმწიფოს მიერ გათვალისწინებულია ხარჯები როგორც სახელმწიფო ბიუჯეტით, ისე სხვა სახელმწიფო სახსრებით დაახლოებით 52 მილიარდი მანეთის რაოდენობით. საჭიროა აგრეთვე მხედველობაში ვიქონიოთ, რომ მიმდინარე წელს კოლმეურნეობები სახელმწიფოსაგან მიიღებენ 3,5 მილიარდ მანეთ გრძელვადიან კრედიტებს საზოგადოებრივი მეურნეობის განსავითარებლად. თვითონ კოლმეურნეობები 1953 წელს საკუთარი სახსრებიდან მოახდენენ კაპიტალურ დაბანდებებს სულ ცოტა 17 მილიარდი მანეთის ოდენობით.

ამხანაგებო! ჩვენს წინაშე დიდი ამოცანები დგას სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში. ეჭვი არ არის, რომ თუ ყველა ჩვენი კოლმეურნე და სოფლის მეურნეობის მუშაკი, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სასუქების მწარმოებელი მრეწველობის ყველა ჩვენი მუშა, ინჟინერი და ტექნიკოსი, თუ ჩვენ ყველანი თქვენთან ერთად გადაჭრით და მტკიცედ მოვკიდებთ ხელს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ჩვენს საერთო საქმეს და არ დავზოგავთ ამისათვის ძალღონესა და სახსრებს, უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში მოსახლეობისათვის სურსათისა და მსუბუქი მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შექმნის ამოცანა წარმატებით გადაიჭრება. **(მჟუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

* * *

მოხმარების საგნების მწარმოებელი მრეწველობის შემდგომ განვითარებასთან და სოფლის მეურნეობის აღმავლობასთან დაკავშირებით კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საქონელბრუნვის ყოველი ღონისძიებით გაშლის ამოცანა, სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანა.

ჩვენი საბჭოთა ვაჭრობა ხალხის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს ემსახურება. იგი მოწოდებულია მომსახურებას უწევდეს სოციალისტურ საზოგადოებას, ხელს უწყობდეს სოციალისტური წარმოების განვითარებასა და განმტკიცებას და აკავშირებდეს მას სახალხო მოხმარებასთან. სახელმწიფო და კოოპერაციული მაღაზიებისა და დუქნების, სავაჭრო საწყობებისა და ბაზების, საკოლმეურნეო ბაზრების ფართო ქსელის მეშვეობით აღწევს ხალხამდე მრავალფეროვანი მასა მოხმარების საგნებისა, რომლებსაც ჩვენი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა აწარმოებენ. საბჭოთა ვაჭრობა აგრეთვე სასიცოცხლო მნიშვნელობის რგოლია სახელმწიფო მრეწველობისა და საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობის საწარმოო-ეკონომიური ურთიერთობის საერთო სისტემაში.

სოციალიზმის დროს ვაჭრობა არის და კიდევ დიდხანს იქნება სოციალისტური საზოგადოების წევრებს შორის მოხმარების საგნების განაწილების ძირითადი ფორმა, რომლის საშუალებითაც დაკმაყოფილდება მშრომელთა მზარდი პირადი მოთხოვნილებანი.

იმისათვის, რომ საბჭოთა ვაჭრობას შეეძლოს წარმატებით შეასრულოს სოციალისტური საზოგადოებისათვის არსებითად საჭირო ფუნქციები, ჩვენ მოვალენი ვართ ვიჩენდეთ მუდმივ ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის. მთავრობა ყოველდღიურად მუშაობს საბჭოთა ვაჭრობის გაშლის საკითხებზე. ეს თავის გამოხატულებას პოულობს სავაჭრო ქსელში გაგზავნილი საქონლის რაოდენობის განუწყვეტელი ზრდით, სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების სისტემატური შემცირებით, სავაჭრო საწარმოთა ქსელის გაშლით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნამეტის გაყიდვაში კოლმეურნეობებისათვის ყოველმხრივი დახმარებით.

მოსახლეობის მზარდი მყიდველობითი უნარის დასაკმაყოფილებლად მთავრობამ უკანასკნელ თვეებში განახორციელა დამატებითი ღონისძიებანი საქონელბრუნვის გასაშლელად მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებით და ბაზრისათვის საქონლის სხვა წყაროებიდან მიწოდებით; ფართო მოხმარების საგნების წარმოებაში ჩაბმულია ბევრი მანქანათმშენებელი ქარხანა. ამ ღონისძიებათა შედეგად მიმდინარე წელს ვაჭრობას გადაეცემა 32 მილიარდი მანეთის დამატებითი საქონელი გარდა იმ 312 მილიარდი მანეთისა, რაც თავდაპირველად იყო გამოყოფილი მოსახლეობისათვის 1953 წლის აპრილ-დეკემბერში მისაყიდად. **(ტაში).** ამასთან გადადებულია იმ საქონლის რესურსები, რომელზეც მოსახლეობის დიდი მოთხოვნილებაა, კერძოდ, ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, შეკერილი ნაწარმი, ავეჯი, ჭურჭელი, ერბო-კარაქი და მცენარეული ზეთი, შაქარი, თევზი, ხორცი, კონსერვები. გაფართოვდა უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილის გაყიდვა. დიდდება მოსახლეობისათვის ხე-ტყისა და საშენი მასალების და ისეთი სამრეწველო საქონლის მიყიდვა, როგორიც არის ავტომობილები, მოტოციკლები, ველოსიპედები, საოჯახო მაცივრები, საათები, ტელევიზორები, რადიომიმღებები და სხვ.

ამ ღონისძიებათა განხორციელება უკვე იძლევა შედეგს. როგორც ცნობილია, საცალო ვაჭრობის მოცულობა 1952 წელს წინა წელთან შედარებით 10 პროცენტით გადიდდა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში იგი გადიდდა 7 პროცენტით, ხოლო მეორე კვარტალში უკვე 23 პროცენტით გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს საქონელბრუნვის ახლანდელი მოცულობა. ამასთანავე სერიოზული ნაკლოვანებებია თვით ვაჭრობის ორგანიზაციაში; მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ მოწესრიგებული არ არის მოსახლეობისათვის საჭირო ყველა საქონლით ვაჭრობა. იშვიათი როდია შემთხვევები, როცა იმისათვის, რომ ესა თუ ის საქონელი იყიდოს, მყიდველი იძულებულია სხვა ქალაქში ან სხვა რაიონში წავიდეს.

სავაჭრო და მგეგმავმა ორგანიზაციებმა გულდასმით უნდა შეისწავლონ მოსახლეობის მოთხოვნილება საქონელზე. საბჭოთა ვაჭრობის თვით არსიდან გამომდინარეობს იმის აუცილებლობა, რომ ყოველმხრივ იქნას გათვალისწინებული მოსახლეობის მოთხოვნილება და ყველა მისი სხვადასხვაგვარი საჭიროება. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება მოეწყოს საქონლის რესურსების უფრო სწორი განაწილება ჩვენი ქვეყნის რაიონებში.

ამოცანა ის არის, რომ უახლოეს ორ-სამ წელიწადში ჩვენს ქვეყანაში საკმაო რაოდენობით გვქონდეს სასურსათო და სამრეწველო საქონელი, რათა თვითეულ ქალაქში, თვითეულ სასოფლო რაიონში შეიძლებოდეს ყველა საჭირო საქონლის ყიდვა.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია, რომ 1955 წელს საცალო საქონელბრუნვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში გადიდდეს დაახლოებით 70 პროცენტით 1950 წელთან შედარებით. ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს შევასრულოთ ეს დავალება უკვე 1954 წელს. **(ტაში).**

სავაჭრო ორგანიზაციებს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ფართო მოხმარების საქონლის ხარისხისთვისაც. ვაჭრობამ ფართოდ უნდა გამოიყენოს არსებული ეკონომიური ბერკეტები, რათა აქტიური ზეგავლენა მოახდინოს წარმოებაზე ისეთი საქონლის გამოშვების გასაადიდებლად, რომელზეც მოსახლეობის მოთხოვნილებაა, და ისეთი საქონლის წარმოების შესამცირებლად, რომელზეც მოსახლეობის მოთხოვნილება არ არის.

ამხანაგებო! ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საბინაო პირობების, სამედიცინო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას, სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების ქსელის გაფართოებას.

მიუხედავად იმისა, რომ ომამდე და განსაკუთრებით ომისშემდგომ წლებში ჩვენში დიდი საბინაო მშენებლობა განხორციელდა, მოთხოვნილებანი ბინის მხრივ ჯერ კიდევ მთლიანად ვერ კმაყოფილდება და ყველგან იგრძნობა ბინების მწვავე ნაკლებობა. ეს განსაკუთრებით საგრძნობია ქალაქებში, რადგან ქალაქების მოსახლეობის რიცხვი ჩვენში მნიშვნელოვნად გადიდდა. თუ 1926 წლის აღწერის მიხედვით ქალაქის მოსახლეობა 26 მილიონი სული იყო, ხოლო 1940 წელს 61 მილიონი სული, ამჟამად ქალაქების მოსახლეობა 80 მილიონამდე სულს შეადგენს.

მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გადიდდა სახელმწიფო კაპიტალდაბანდებანი საბინაო მშენებლობაში და მათი საერთო ოდენობა თითქმის 4-ჯერ აღემატება იმ თანხებს, რაც ამ მიზნისათვის დაიხარჯა ომამდელ 1940 წელს. მაგრამ ბინების მშენებლობა ჯერ კიდევ ცუდად ხორციელდება, საბინაო მშენებლობის გეგმები მთლიანად არ სრულდება, სახელმწიფოს მიერ ამ მიზნისათვის გათვალისწინებული სახსრები მთლიანად არ არის გამოყენებული. სამინისტროების და ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების ბევრი ხელმძღვანელი სათანადო ყურადღებას არ აქცევს საბინაო მშენებლობას, ჩვენში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი სამეურნეო მუშაკი, რომელიც ბინისათვის არ ზრუნავს. ახალ საწარმოთა მშენებლობის დროს ხშირად საჭირო რაოდენობით არ შენდება საცხოვრებელი სახლები ამ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეებისათვის და ამიტომ ხშირად ახალაშენებულ ქარხნებში დიდი სიძნელეები ჩნდება მუშახელის მხრივ. ბევრ მშენებელს დასჩემდა უგარგისი პრაქტიკა საექსპლოატაციოდ გადასცეს ახალი სახლები, რომლებსაც ბევრი რამ აკლია, სამუშაოები შესრულებულია დაუდევრად, რაც ფასს უკარგავს ბინების ხარისხს და იწვევს მშრომელთა სამართლიან საყვედურებს.

ამოცანა ის არის, რომ გავაუმჯობესოთ საბინაო მშენებლობის საქმე, უზრუნველვყოთ ბინების მშენებლობისა და შეკეთების სახელმწიფო დავალებათა აუცილებელი შესრულება.

ჩვენ გვჭირდება აგრეთვე მეტი სკოლები, სამკურნალო და საბავშვო დაწესებულებები. 1953 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულია გადიდდეს შარშანდელთან შედარებით: სკოლების მშენებლობა — 30 პროცენტით, საბავშვო ბაღებისა და ბაგების მშენებლობა — 40 პროცენტით და საავადმყოფოების მშენებლობა — 54 პროცენტით.

სკოლების, საავადმყოფოებისა და საბავშვო დაწესებულებების მშენებლობა მიმდინარე წელს, ყველა ნაკლის მიუხედავად, ჩვენში უფრო სწრაფი ტემპით წარმოებს, უფრო სწრაფად, ვიდრე სხვა სახის მშენებლობა. მაგრამ არის ბევრი შემთხვევა, როცა გამოყოფილი სახსრები მთლიანად არ არის გამოყენებული და სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების მშენებლობა ხშირად ოგვიანებს. ცუდად სრულდება საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმა მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში, სადაც, როგორც ცნობილია, ბევრი ქალი მუშაობს, და ამიტომ საბავშვო ბაღებისა და საბავშვო ბაგების საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობა უკრაინაში, ბელორუსიაში და რუსეთის სფსრ მთელ რიგ ოლქებში.

სკოლების, საავადმყოფოების, ბაგებისა და საბავშვო ბაღების ქსელის გაფართოებისა და მუშაობის გაუმჯობესების საქმეში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების განათლების სამინისტროებს, ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს, რომლებიც მოვალენი არიან გააძლიერონ ზრუნვა სკოლების, საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებების მშენებლობისათვის, მეტი ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს.

ამხანაგებო! იმ გადაუდებელი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის დარგში და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში, საჭიროა ახალ, მნიშვნელოვნად უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ მთელი ჩვენი სამეურნეო და ორგანიზაციული მუშაობა.

სწორი არ იქნებოდა არ დაგვენახა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მუშაობის არსებითი ნაკლოვანებანი, რაც დიდ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას. ამ ნაკლოვანებათა შესახებ ითქვა ჩვენი პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებში. უნდა ვაღიაროთ, რომ სამინისტროები და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ ყრილობის დირექტივებს და არ ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს საწარმოებისადმი ხელმძღვანელობის დარგში მუშაობის გასაუმჯობესებლად. ამოცანა ის არის, რომ უფრო ენერგიულად აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი.

საწარმოებისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობის მაგალითს წარმოადგენს ჩვენი სამეურნეო, საფინანსო და საგეგმო ორგანოების უყურადღებობა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხებისადმი.

ცნობილია, რომ თვითღირებულება ძირითადი მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს საწარმოს მთელი მუშაობის ხარისხს. მაგრამ ბევრ სამეურნეო ხელმძღვანელს ავიწყდება ეს, ნაკლებად არის დაინტერესებული საწარმოთა რენტაბელობის საკითხებით. სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის სახელმწიფო გეგმის დავალებანი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში არ შეუსრულებია მრეწველობის მთელ რიგ დარგებს. მრეწველობაში ჯერ კიდევ ბევრია ზარალიანი საწარმოები, რომელთა პროდუქციის თვითღირებულება ამ პროდუქციის დაწესებულ ფასებზე მაღალია. ასეთი საწარმოების ზარალი იფარება რენტაბელური საწარმოების კარგი მუშაობით. ზარალიანი ფაბრიკების, ქარხნების, შახტების არსებობა, რომლებიც მოწინავე საწარმოთა ხარჯზე ცხოვრობენ, ძირს უთხრის ჩვენს მრეწველობაში სამეურნეო ანგარიშის საფუძვლებს, არ ქმნის საჭირო სტიმულებს დაგროვებათა შემდგომი გადიდებისათვის და უარყოფით გავლენას ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ზრდაზე.

ძალიან ბევრია ზარალიანი საწარმო და დიდია ზარალის თანხები ქვანახშირისა და სატყეო მრეწველობაში. ამ დარგების ბევრი საწარმო მთელი რიგი წლების მანძილზე ვერ ასრულებს თვითღირებულების შემცირების გეგმებს და შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმებს. ამის შედეგად ქვანახშირისა და სატყეო მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულება ჯერ კიდევ მაღალია, ხოლო ქვანახშირისა და ხე-ტყის მასალების მაღალი თვითღირებულება აბრკოლებს არა მარტო ამ პროდუქციის, არამედ აგრეთვე ბევრი სხვა სახეობის სამრეწველო ნაწარმის ფასების შემცირებას.

არარენტაბელური სამრეწველო საწარმოების ზარალმა 1952 წელს 16 მილიარდი მანეთი შეადგინა. მნიშვნელოვანი ზარალი ჰქონდათ არარენტაბელურ საწარმოებს 1953 წლის პირველ ნახევარშიც.

თვითღირებულების შემცირების გეგმიან დავალებათა შესრულებაში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მარტო მრეწველობაში როდია. ჯერ კიდევ დიდია მშენებლობის ღირებულება და დიდია მეტი წილი სამშენებლო ორგანიზაციების ზარალი; სამუშაოთა თვითღირებულების გეგმიან დავალებებს ვერ ასრულებს ბევრი მანქანა-ტრაქტორთა სადგური, არადამაკმაყოფილებელია სამდინარო ტვირთზიდვის თვითღირებულების შემცირების საქმე, არ სრულდება დავალება ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯების შემცირების შესახებ.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გადამწყვეტი პირობაა შრომის ნაყოფიერების ზრდა ყველა საწარმოში. ჩვენ ყველა შესაძლებლობა მოგვეპოვება იმისათვის, რომ უფრო წარმატებით გადავწყვიტოთ ეს ამოცანა. ჩვენი საწარმოების მოწინავე ტექნიკა, თუ იგი სწორად იქნება გამოყენებული, საშუალებას იძლევა სულ უფრო და უფრო გავუადვილოთ შრომა მუშებს და უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდა. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმოების სწორ, რაციონალურ ორგანიზაციას, უშუალოდ ძირითად საწარმოო პროცესებზე მომუშავე მუშაკთა ხელმძღვანელობას დამხმარე, მომსახურე და მაშველი პერსონალის ხარჯზე.

წარმოების ყველა დარგში თვითღირებულების შემცირებასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. რაც უფრო დიდია შრომის ნაყოფიერება ჩვენს საწარმოებში, რაც უფრო მცირეა თვითღირებულება, მით უფრო მცირეა ყველა პროდუქტისა და საქონლის ფასი, მით უფრო მაღალია ხალხის ცხოვრების დონე.

ამოცანა ის არის, რომ ბოლო მოვუღოთ პროდუქციის თვითღირებულების საკითხების უგულებელყოფას, უზრუნველვყოთ თვითღირებულების სისტემატური შემცირება და მივაღწიოთ თვითეული საწარმოს რენტაბელობას.

იმისათვის, რომ წარმატებით გადავჭრათ ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები, საჭიროა საფუძვლიანად გავადიდოთ პასუხისმგებლობა და კულტურა სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის ყველა რგოლის მუშაობაში.

უკანასკნელ თვეებში განხორციელდა სამინისტროთა გამსხვილება და მნიშვნელოვნად გაფართოვდა მინისტრების უფლებები. ეს ღონისძიებანი იძლევიან თავის

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაგზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვა

(გაგრძელება)

დადებით შედეგებს მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში და წელს საშუალება მოგვცეს დაგვეზოგა თითქმის ექვსნახევარი მილიარდი მანეთი. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ სამმართველოების აპარატის შენახვა ჯერ კიდევ ძვირი ჯდება. მთავრობა კვლავაც გაუმჯობესებს სახელმწიფო აპარატის მუშაობას და უფრო გადაჭრით შეამცირებს მისი შენახვის ხარჯებს. ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ ჩვენ მოგვიხდება ზოგიერთი შესწორების შეტანა სამინისტროების განხორციელებულ რეორგანიზაციაში სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების შემდგომი განვითარების ახალ ამოცანებთან დაკავშირებით.

ჩვენი სახალხო მეურნეობა მტკიცედ მიდის შემდგომი აღმავლობის გზით. ჩვენი ძალების წყაროა მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის ძლავრი აქტიურობა და ინიციატივა. ჩვენ უდიდესი შესაძლებლობანი გვაქვს იმისათვის, რომ განვახორციელოთ ჩვენი მთავარი ამოცანა — ხალხის განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება. ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ მოკლე ვადებში დიდ წარმატებებს მოვიპოვებთ ამ ამოცანების განხორციელებაში. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

II.

საერთაშორისო ვითარება და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი საშინაო საკითხების განხილვისას ჩვენ, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით საერთაშორისო ვითარებას.

ამჟამად საერთაშორისო ვითარებას ახასიათებს უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, მშვიდობისა და დემოკრატიის მთელი ბანაკის მიერ მიღწეული სერიოზული წარმატებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობისათვის, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლის საქმეში.

აღმოსავლეთში შეწყდა სისხლისღვრა, რომელიც მრავალი ადამიანის სიცოცხლეს იწირავდა და უაღრესად სერიოზულ საერთაშორისო გართულებათა საფრთხეს შეიცავდა.

მთელი მსოფლიოს ხალხები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ კორეაში დაზავების ხელმოწერას. მათ კანონიერად მიაჩნიათ ეს ფაქტი მშვიდობისმოყვარე ძალების გამარჯვებად. **(მქუხარე ტაში).** მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკი სამ წელზე მეტ ხანს ცდილობდა მიეღწია კორეის ომის შეწყვეტისათვის. ეს ბრძოლა დაზავების ხელმოწერით დაგვირგვინდა. ადამიანის მისწრაფება მშვიდობისადმი ისეთი მძლავრი და ქმედითი ძალა გახდა, რომ აგრესორები იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ მას.

როცა კორეაში ომი გააჩაღეს, აგრესიულ წრეებს იმედი ჰქონდათ, რომ დააჩოქებდნენ კორეელ ხალხს. მაგრამ ინტერვენტები, რომლებმაც წამოიწყეს ომი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ანგარიშში მოტყუვდნენ. მათ ვერ გატეხეს გმირი კორეელი ხალხი. როცა სამხედრო ავანტიურას იწყებდნენ, ინტერვენტებს იმედი ჰქონდათ, რომ თავიანთ მიზნებს ელვისებური დარტყმის შედეგად მიაღწევდნენ და ძალების განსაკუთრებული დაძაბვა არ დასჭირდებოდათ. საქმით კი სხვა რამ გამოვიდა. ინტერვენტები ჩაებნენ ხანგრძლივ სისხლისმღვრელ ომში და, ნახეს რა დიდი ზარალი ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ, საფუძვლიანად შელახეს რა თავიანთი სამხედრო პრესტიჟი, იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ თავიანთ დამპყრობლურ გეგმებზე. აი ამაზეა ნათქვამი, მატყლისთვის წავიდნენ და გაპარსული დაბრუნდნენო. **(საერთო სიცილი დარბაზში. მქუხარე ტაში).**

ინტერვენტების და მათი დაქირავებული აგენტების — ლი სინ მანის ხროვის წინააღმდეგ კორეელი ხალხის ბრძოლამ ცხადყო, რომ თავისი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმისადმი ერთგულება წარმოშობს დიდ სიმტკიცეს, მამაცობას, მასობრივ გმირობას. კორეელი ხალხი, რომელსაც თავს დაატყდა თანამედროვე იმპერიალიზმის ყველაზე მძლავრი სამხედრო მანქანა, უძლეველი გახდა, რადგან იგი იბრძოდა სამართლიანი საქმისათვის. ამასთან ერთად ადამიანთა ხსოვნაში არასოდეს არ წაიშლება კორეელი ხალხის დასახმარებლად მოსულ სახელოვან ჩინელ სახალხო მოხალისეთა კეთილშობილური გმირობა. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).** ამ გმირობით ამაყობს არა მარტო დიდი ჩინელი ხალხი, არამედ მთელი პროგრესული კაცობრიობაც. **(მქუხარე ტაში).**

საბჭოთა კავშირის ხალხები სულით და გულით ულოცავენ კორეელ და ჩინელ ხალხებს დაზავების მოღწევას. **(მქუხარე ტაში).**

ახლა ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ აღორძინებული მშვიდობიანი ცხოვრება ტანჯული კორეელი ხალხისათვის, რომელმაც დიდი მსხვერპლის ფასად დაიცვა თავისი უფლება — განაგოს საკუთარი ბედი, თავისი ქვეყნის ბედი.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, მხურვალედ გვსურს, რომ სახელოვანი კორეელი ხალხის ცხოვრება აყვავდეს მშვიდობის პირობებში. საბჭოთა კავშირი დაეხმარება კორეელ ხალხს ომით მიყენებული მძიმე ჭრილობების მოშუშებაში. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).** მთავრობამ გადაწყვიტა ახლავე გამოჰყოს კორეის დანგრეული მეურნეობის აღსადგენად მილიარდი მანეთი. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).** ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ უმაღლესი საბჭო ერთსულოვნად მოიწონებს ამ გადაწყვეტილებას. **(მქუხარე ტაში).**

დასავლეთში საბჭოთა კავშირის თანმიმდევრობამ და სიმტკიცემ სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებაში გამოიწვია პროვოკაციული ავანტიურის ჩაშლა ბერლინში.

ბერლინის ავანტიურის ორგანიზატორება შორს უმიზნებდნენ. ისინი ფიქრობდნენ ჩაეხშოთ გერმანიის დემოკრატიული ძალები, დაენგრიათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც გერმანელი ხალხის მშვიდობისმოყვარე ძალების დასაყრდენია, გადაექციათ გერმანია მილიტარისტულ სახელმწიფოდ, აეღორძინებინათ ომის კერა ევროპის ცენტრში. ეჭვი არ არის, საბჭოთა კავშირს რომ არ გამოეჩინა გამძლეობა და სიმტკიცე მშვიდობის ინტერესების დაცვაში, ბერლინის ავანტიურას შეიძლება მოჰყოლოდა უაღრესად სერიოზული საერთაშორისო შედეგები.

ეი რატომ უნდა მივიჩნიოთ, რომ ბერლინის ავანტიურის ლიკვიდაცია აგრეთვე ნიშნავს მშვიდობის საქმის დიდმნიშვნელოვან გამარჯვებას. **(მქუხარე ტაში).**

საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის საქმეში საბჭოთა კავშირის წარმატებებს ეკუთვნის მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის გაუმჯობესებაც.

ესწრაფვის რა ყველა ქვეყანას შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებას, საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მეზობელ სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განმტკიცებას. ნამდვილი კეთილმეზობლობის დონეზე ავიყვანოთ ეს ურთიერთობა — ასეთია მიზანი, რომლის განხორციელებასაც ჩვენ ვცდილობთ და კვლავაც ვეცდებით.

საბჭოთა კავშირს ტერიტორიული პრეტენზია არა აქვს არც ერთი სახელმწიფოს მიმართ, მათ შორის არც ერთი მეზობელი სახელმწიფოს მიმართ. ჩვენი საგარეო პოლიტიკის ურღვევი პრინციპია ყოველი ქვეყნის, დიდი და მცირე ქვეყნის, ეროვნული თავისუფლებისა და სუვერენიტეტის პატივისცემა. **(ტაში).** თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენი ქვეყნისა და ზოგიერთი მეზობელი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიურ სისტემათა განსხვავება ვერ შეაფერხებს მათ შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას. თავის მხრივ საბჭოთა მთავრობამ განახორციელა ლენინისეული კეთილმეზობლური მეგობრობის განსამტკიცებლად ასეთ სახელმწიფოებთან, და ახლა საქმე დამოკიდებულია მათი მთავრობების მზადყოფნაზე აქტიურად ჩაებან მეგობრობის მოგვარებაში არა სიტყვით, არამედ საქმით, მეგობრობისა, რომელიც გულისხმობს ურთიერთ ზრუნვას ჩვენი ქვეყნების მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის.

სამხრეთში ჩვენი მეზობელია ირანი. სამნახევარი ათეული წლის გამოცდილებამ ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირი და ირანი დაინტერესებული არიან ურთიერთმეგობრობითა და თანამშრომლობით. ამრიგად, საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობას საფუძვლად უდევს მტკიცე ბაზა, რაც შესაძლებელს ხდის, რომ ორივე მხარის ურთიერთობაში წამოჭრილი საკითხები გადაიჭრას ურთიერთდაკმაყოფილებისათვის. ამჟამად მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის ინიციატივით დაწყებული მოლაპარაკება ზოგიერთი სასაზღვრო საკითხის თაობაზე, აგრეთვე ურთიერთსაფინანსო პრეტენზიების თაობაზე. იმედი გვაქვს, რომ მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდება. ამას წინათ ურთიერთსასარგებლო საფუძველზე მიღწეულ იქნა შეთანხმება ორივე ქვეყანას შორის საქონელბრუნვის გადიდების საკითხზე. ირანის მთავრობაზეა დამოკიდებული, რომ საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობა ვითარდებოდეს კეთილმეზობლური ურთიერთობის გზით, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაფართოების გზით.

საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ავღანეთთან უცვლელად მტკიცეა და ხასიათდება ურთიერთ ინტერესთა პატივისცემით. ეს ქმნის ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების ხელსაყრელ პირობებს.

ყველას ახსოვს განცხადება, რომელიც საბჭოთა მთავრობამ თურქეთის მთავრობას გაუკეთა. ეს განცხადება ქმნის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარების არსებით წანამძღვარს, თუ, რასაკვირველია, თურქეთი თავის მხრივ სათანადო ღონისძიებებს განახორციელებს ამ მიმართულებით. თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება უეჭველად სასარგებლო იქნება ორივე მხარისათვის და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს შავი ზღვის რაიონში უშიშროების განმტკიცების საქმეში.

ფინეთთან ურთიერთობაში საბჭოთა კავშირი მხედველობაში იღებს ორივე ქვეყნის ინტერესებს. 1950 წელს ხუთწლიანი ეკონომიური შეთანხმების ხელმოწერამ, რომელიც შემდეგ შეივსო შეთანხმებით 1952-55 წლებში საქონელბრუნვის შესახებ, გამოიწვია საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის ეკონომიური ურთიერთობის მნიშვნელოვანი გაფართოება. საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება შეესაბამება ორივე ქვეყნის ინტერესებს და ხელს უწყობს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას ევროპის ჩრდილოეთ ნაწილში. ხელშეკრულება კარგი საფუძველია კეთილმეზობლური ურთიერთობის დასამყარებლად. საჭიროა იგი განუხრელად განახორციელოს არა მარტო ჩვენმა მთავრობამ, არამედ ფინეთის მთავრობამაც.

ესწრაფვის რა შეანელოს საერთო დაძაბულობა, საბჭოთა მთავრობა დათანხმდა აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელის სახელმწიფოსთან. ამასთან მან გაითვალისწინა ისრაელის მთავრობის ვალდებულება იმის შესახებ, რომ „ისრაელი არ იქნება მონაწილე რომელიმე კავშირისა თუ შეთანხმებისა, რომელიც ისახავს აგრესიულ მიზნებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“. ჩვენ მიგვაჩნია, რომ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა ხელს შეუწყობს ორივე სახელმწიფოს შორის თანამშრომლობას.

უცხოეთის ზოგიერთი გაზეთის განცხადებანი, თითქოს ისრაელთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა გამოიწვევს არაბულ სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესუსტებას, საფუძველს მოკლებულია. საბჭოთა მთავრობის საქმიანობა კვლავაც მიმართული იქნება იქითკენ, რომ განმტკიცოს მეგობრული თანამშრომლობა არაბულ სახელმწიფოებთან.

ჩვენმა მთავრობამ გამოიჩინა ინიციატივა ხანგრძლივი შეწყვეტის შემდეგ იუგოსლავიასთან და საბერძნეთთან ელჩების გაცვლის საქმეში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს გამოიწვევს ორივე ქვეყანასთან ურთიერთობის სათანადო ნორმალიზაციას და მოგვცემს სასარგებლო შედეგებს.

არ არის არავითარი ობიექტური მიზეზი, რომელსაც შეეძლოს ხელი შეუშალოს ურთიერთობის გაუმჯობესებას საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის. რასაკვირველია, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა შეიძლება განმტკიცდეს, თუ მათ მიერ ნაკისრი ურთიერთვალდებულებანი სრულდება. საბჭოთა კავშირ-იტალიის ურთიერთობის კეთილსასურველი განვითარების პირობებში იტალიის მრეწველობას, რომელიც დიდ სიძნელეებს განიცდის, შეუძლია მნიშვნელოვანი დასაყრდენი მიიღოს ჩვენს სახელმწიფოებს შორის ეკონომიური ურთიერთობის გაუმჯობესებით. ურთიერთხელსაყრელი შეთანხმების საფუძველზე იტალია შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას ქვანახშირითა და პურით, აგრეთვე დაკვეთებით მისი მრეწველობისათვის. ეჭვი არ არის, რომ ეს ხელს შეუწყობდა სახელოვანი იტალიელი ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. **(ტაში).**

ყველა ქვეყნის ხალხებს იმედი აქვთ, რომ კორეაში დაზავების ხელმოწერა დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში, უწინარეს ყოვლისა, შორეულ აღმოსავლეთში.

ამასთან დაკავშირებით აქტუალური მნიშვნელობა ენიჭება შორეულ აღმოსავლეთში ყველა სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის და, კერძოდ, იაპონიასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის ამოცანას. ამ გზაზე გვხვდება სერიოზული დაბრკოლებანი, რამდენადაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაარღვიეს ომის დროს და ომისშემდგომ პერიოდში მოკავშირეებს შორის დადებული შეთანხმებანი და ახორციელებენ იაპონიის ეროვნული დამოუკიდებლობის ჩახშობის, სამხედრო პლაცდარმად მისი გადაქცევის პოლიტიკას. იაპონიის ერის ჯანსაღი ძალები სულ უფრო მეტად ერკვევიან იმაში, რომ საჭიროა გადაილახოს არსებული დაბრკოლებანი და დაჯულ იქნას იაპონიის ეროვნული დამოუკიდებლობა. მათ ესმით, რომ მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება თავისი სამშობლოს მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფა და მეზობელ სახელმწიფოებთან საჭირო საგარეოპოლიტიკური და სავსებით ხელმისაწვდომი ეკონომიური ურთიერთობის უზრუნველყოფა. იაპონიის მიერ ამ გზაზე გადადგმულ ნაბიჯებს თანაგრძნობით შეხვდებიან საბჭოთა კავშირი და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი. **(ტაში).**

აღმოსავლეთში მშვიდობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი დიდი სახელმწიფოს პოზიციას, როგორიც არის ინდოეთი. მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ღონისძიებებში, რომელთა მიზანი იყო კორეაში ომის შეწყვეტა, ინდოეთმა თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ინდოეთთან ჩვენი ურთიერთობა მტკიცდება, კულტურული და ეკონომიური კავშირი ძლიერდება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მომავალში ინდოეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა განმტკიცდება და განვითარდება მეგობრული თანამშრომლობის ნიშნით. **(ტაში).**

საბჭოთა კავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ ჩვენი ურთიერთობა პაკისტანთან წარმატებით ვითარდებოდეს და უზრუნველყოფდეს ორივე სახელმწიფოს ყოველმხრივი ურთიერთობის განმტკიცებას. ეს, ეჭვგარეშეა, დადებით როლს შეასრულებს აზიაში მშვიდობის განსამტკიცებლად.

საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებს უცხო ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობის გაფართოების პოლიტიკას.

იზრდება იმ სახელმწიფოთა წრე, რომლებთანაც საბჭოთა კავშირს სავაჭრო ურთიერთობა აქვს, ამასთანავე დიდდება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქონელბრუნვის მოცულობა. სავაჭრო შეთანხმებანი დაიდო საფრანგეთთან, ფინეთთან, ირანთან, დანიასთან, საბერძნეთთან, ნორვეგიასთან, შვეციასთან, არგენტინასთან, ისლანდიასთან, საგადამხდელო შეთანხმება ეგვიპტესთან. წარმატებით მიმდინარეობს მოლაპარაკება მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებთან. ჩვენ განზრახული გვაქვს კიდევ უფრო დიდი სიმტკიცით გავაფართოოთ საბჭოთა კავშირსა და უცხო ქვეყნებს შორის საქონელბრუნვის განვითარების გეზი.

გასაგები და დროულია მთელი რიგი ქვეყნების საქმიანი წრეების მისწრაფება — აღმოფხვრან საერთაშორისო საქონელბრუნვის გზაზე ყოველგვარი დისკრიმინაციული ღონისძიებანი, რომლებიც ზღუდავენ მსოფლიო ვაჭრობას. უკვე დიდი ხანია მომწიფდა იმის საჭიროება, რომ ნორმალური სავაჭრო ურთიერთობა აღდგენილ იქნას იმ ქვეყნებს შორის, რომლებისთვისაც ურთიერთსაქონელბრუნვა მტკიცე ტრადიციაა. ვინც კი სამართლიანად ფიქრობს, რომ ეკონომიური ურთიერთობის განვითარება სამსახურს დაუწევს მშვიდობის განმტკიცების საქმეს, მას არ შეუძლია ხელი არ შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობის გაჯანსაღებას.

საბჭოთა კავშირის მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებთან ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას. ამ ურთიერთობას ახასიათებს მჭიდრო თანამშრომლობა და ნამდვილი ძმური მეგობრობა. **(მქუხარე ტაში).**

დიდი და ურღვევი მეგობრობა აკავშირებს საბჭოთა კავშირს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან **(მქუხარე ტაში);** სწრაფი ტემპით და მნიშვნელოვანი მასშტაბით იზრდება ამ ორი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა.

ფართოვდება და მტკიცდება საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი თანამშრომლობა პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან, რუმინეთთან, უნგრეთთან, ბულგარეთთან, ალბანეთთან, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასთან, კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. **(ტაში).**

განუწყვეტლივ მტკიცდება ჩვენი მეგობრული ურთიერთობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან; საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს, დახმარებას უწევს და კვლავაც გაუწევს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც ერთიანი მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიისათვის ბრძოლის ბურჯია. **(ტაში).**

დემოკრატიული ბანაკის ერთ-ერთი გადამწყვეტი უპირატესობა და იმპერიალისტური ბანაკისაგან მისი პრინციპული განსხვავება ის არის, რომ მას არ წეწავს შინაგანი წინააღმდეგობანი და ბრძოლა, რომ მისი ძალისა და პროგრესის უმნიშვნელოვანესი წყაროა ურთიერთზრუნვა დემოკრატიული ბანაკის ყველა ქვეყნის ინტერესებისათვის და მჭიდრო ეკონომიური თანამშრომლობა. ამიტომ დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების მეგობრული ურთიერთობა და მათი ძმური თანამშრომლობა განუხრელად გაიზრდება და განმტკიცდება. **(ტაში).**

საბჭოთა კავშირის და მთელი დემოკრატიული ბანაკის აქტიურმა, მიზანდასახულმა ბრძოლამ მშვიდობისათვის გარკვეული შედეგები მოგვცა. ჩვენ გვაქვს ერთგვარი ძვრა საერთაშორისო ვითარებაში. დაძაბულობის ზრდის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, პირველად უკანასკნელ წლებში იგრძნობა საერთაშორისო ატმოსფეროს დაძაბულობის ერთგვარი შენელება. ასეულ მილიონობით ადამიანი სულ უფრო მეტად იმსჭვალება იმის იმედით, რომ შეიძლება გამოინახოს სადავო და გადაუჭრელი საკითხების მოწესრიგების გზა. ეს ასახავს ხალხთა დიდ მისწრაფებას ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობისადმი.

მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ ისიც, რომ არიან ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკას, ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ ჩაშალონ ეს პოლიტიკა. სწორედ ამ მიზეზით გაჭიანურდა მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ, იქმნება სამხედრო პლაცდარმები დასავლეთ გერმანიასა და იაპონიაში, ეწყობა პროვოკაციები დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ, ხორციელდება ატომური შანტაჟის პოლიტიკა.

აგრესიული წრეები ჯიუტად ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, რადგან ეშინიათ, რომ თუ მოვლენების განვითარება ამ ხაზით წავიღა, მათ მოუხდებათ შეკვეცონ გამალებული შეიარაღება, რომელსაც იარაღის მეფაბრიკეებისათვის უდიდესი მოგება მოაქვს და რომელიც ქმნის მრეწველობის ხელოვნურ დატვირთვას. ისინი შიშობენ არ დაკარგონ თავიანთი ზღაპრული მოგება. ამ წრეებს აშინებთ ისიც, რომ საერთაშორისო ატმოსფეროს დაძაბულობის შენელებით ახალი და ახალი მილიონობით ადამიანი მიხვდება, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი, რომელიც თითქოს შექმნილია თავდაცვითი მიზნებისათვის, სინამდვილეში წარმოადგენს მშვიდობის საქმის მთავარ საფრთხეს. აგრესიული წრეები აგრეთვე ითვალისწინებენ, რომ თუ ახლა, საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის პირობებში, ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკს სწეწავს შინაგანი ბრძოლა და წინააღმდეგობანი, ამ დაძაბულობის შენელებისას საქმე შეიძლება მას დაშლამდე მივიდეს.

სავსებით ცხადია, რომ მშვიდობისმოყვარე ძალებს გარდა მსოფლიოში მოქმედებენ ძალები, რომლებმაც მეტისმეტად დაუკავშირეს თავი საერთაშორისო ვითარების გამწვავების პოლიტიკას. ეს ძალები იმედს ამყარებენ ომზე, მშვიდობა მათთვის ხელსაყრელი არ არის. მათ დაძაბულობის შენელება თავიანთთვის უბედურებად მიაჩნიათ. ისინი მიდიან ავანტიურისტული გზით და ახორციელებენ აგრესიულ პოლიტიკას.

ამ პოლიტიკის სამსახურში ჩაყენებულია ეგრეთწოდებული „ცივი ომის სტრატეგია“ და ყოველგვარი საერთაშორისო პროვოკაციები.

საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიისათვის უცხოა ძირგამომთხრელი საქმიანობის ისეთი მასშტაბები, ისეთი უხეში ჩარევა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, ისეთი სისტემატური საერთაშორისო პროვოკაციები, რომლებსაც ახლა ახორციელებენ აგრესიული ძალები.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ამერიკის ზოგიერთმა წრეებმა მთავრობის პოლიტიკის დონეზე აიყვანეს ძირგამომთხრელი მუშაობა სუვერენული ქვეყნების კანონიერ მთავრობათა წინააღმდეგ. ამ მიზნისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილია დიდძალი სახსრები საზოგადოების ნაძირალებიდან დივერსიული ბანდების შესაგროვებლად, რომლებსაც გზავნიან დემოკრატიულ ქვეყნებში მავნებლური მუშაობისათვის. ამ მიზნით შექმნილია მთავრობის ორგანიზაციების ჭსელი, რომლებიც ზედიზედ ახორციელებენ საერთაშორისო პროვოკაციებს, ეწევიან ძალის კულტისა და მშვიდობისმოყვარე ქვეყნებისადმი სიძულვილის პოლიტიკას.

დამახასიათებელია, რომ სწორედ იმ პირობებში, როცა დაისახა საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის სერიოზული შენელების შესაძლებლობა, „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან არსებულმა ფსიქოლოგიური ომის საკითხთა კომიტეტმა“ გამოაქვეყნა თავისი ოფიციალური მოხსენება. მთელი დოკუმენტი გამსჭვალულია ერთი აზრით, ერთი დასკვნით, სახელდობრ —ამერიდან ამერიკის შეერთებული შტატების ყოველგვარი საქმიანობა საგარეო პოლიტიკის დარგში კიდევ უფრო მეტად უნდა ემსახურებოდეს „ცივი“ ანუ „ფსიქოლოგიური“ ომის ინტერესებს. ამ მოხსენების თანახმად, რა უნდა აკეთოს ამერიკის დიპლომატიამ? თურმე — „ცივი ომი“.

რას უნდა ემსახურებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობა და ეკონომიური საქმიანობა? „ცივ ომს“.

რა ამოცანების გადაწყვეტისათვის არის განკუთვნილი სხვა ქვეყნებთან ამერიკის შეერთებული შტატების კულტურული ურთიერთობა? „ცივი ომის“ ამოცანებისათვის.

ფაქტები მოწმობენ, რომ რაც უფრო მეტი დრო გადის, „ცივი ომის“ პოლიტიკა მით უფრო ცვლის ნორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობას დიქტატის პოლიტიკით, დეზორგანიზაცია შეაქვს საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობაში, ხელოვნურად ამწვავებს ქვეყნებს შორის ურთიერთობას.

უზომო გულმოდგინება „ცივი ომის“ პოლიტიკის განხორციელებაში ხშირად იმას იწვევს, რომ ამ პოლიტიკის გამტარებლები ფეხქვეშ თელავენ სახელმწიფოთა შორის კულტურული ურთიერთობის ელემენტარულ კანონებს და ამასთან ხშირად თავს სასაცილო მდგომარეობაში იყენებენ. ამას წინათ მთელი მსოფლიო გახდა იმის მოწმე, თუ როგორ იქნა გამოყენებული „ცივი ომის“ ყბადაღებული სტრატეგია ამერიკისა და საბჭოთა კავშირის გუნდებს შორის საჭადრაკო მატჩის მოწყობის საკითხშიც კი. **(დარბაზში მოძრაობაა).** იუსტიციის სამინისტრომ და სახელმწიფო დეპარტამენტმა საბჭოთა მოჭადრაკეებს, რომლებიც სტუმრად იყვნენ მიწვეული ამერიკელი მოჭადრაკეების მიერ, უფლება არ მისცეს დასასვენებლად წასულიყვნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საბჭოთა წარმომადგენლობის აგარაკზე ქალაქ გლენკოვში, რომელიც ნიუ-იორკიდან 12 მილზეა. როგორც ცნობილია, ათასობით უცხოელი სტუმარი, რომლებიც საბჭოთა კავშირში ჩამოდიან, მათ შორის ამერიკელებიც, მოგზაურობენ ჩვენს ქვეყანაში და შეუძლიათ გაემგზავრონ, ვთქვათ, ტაშკენტში, თბილისში, კიევსა თუ სხვა რაიონებში. გამოდის, რომ შეერთებულ შტატებში მოწვეულ სტუმრებს უკრძალავენ 12 მილის ფარგლებში მიმოსვლას, მაშინ როცა საბჭოთა კავშირში უცხოელ სტუმრებს შეუძლიათ თავისუფლად იმოგზაურონ ათასობით მილზე. ამის შემდეგ როგორღა ბედავენ იყბედონ, საბჭოთა კავშირში „რკინის ფარდააო“. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

საერთაშორისო ამბების განვითარება ცხადყოფს, რომ „ცივი ომის“ პოლიტიკა, საერთაშორისო პროვოკაციათა პოლიტიკა წამლავს საერთაშორისო ატმოსფეროს.

ახორციელებს რა საერთაშორისო ვითარების გამწვავების კურსს, ზოგიერთ თვალსაჩინო, მაგრამ — ნება გვიბოძონ ვთქვა — წინდაუხედავ ოკეანესგადმელ მოღვაწეს **(გამოცოცხლება დარბაზში, ტაში)** საბჭოთა კავშირის მისწრაფება ხალხთა შორის მშვიდობის უზრუნველყოფისადმი, საბჭოთა კავშირის ზრუნვა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის მიაჩნია ჩვენი სისუსტის გამოვლინებად. სწორედ ამ შეუსაბამო მოსაზრებით აიხსნება ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი წრის აშკარად უგუნური მიდგომა სადავო საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტისადმი, აიხსნება მათი პოლიტიკა იძულებისა და ყოველგვარი ავანტიურებისა.

ამ „ფილოსოფიაში“, რასაკვირველია, ახალი არა არის რა. მსოფლიოს ჯერ კიდევ არ დავიწყებია, რომ ჰიტლერი და არა სხვა ვინმე, იაკეურდნო რა სწორედ უგუნურ ვარაუდს, თითქოს საბჭოთა კავშირი „თიხისფეხებიანი

(დასასრული მე-4 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაგი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვა

(დასასრული)

ბუმბერაზიაო“, დაადგა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ დანაშაულებრივ ავანტიურას. ცნობილია, რომ ამას მოჰყვა გერმანიის ფაშიზმის სრული კრახი.

საკითხავია: რა საფუძვლით იმეორებს ახლა ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსი ლათაიებს საბჭოთა კავშირის სისუსტის შესახებ?

ვერც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი ვერ უარყოფს, რომ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა ასე მტკიცე არასოდეს არ ყოფილა, რომ ჩვენთან ერთად ძმურად გაერთიანებულია მძლავრი დემოკრატიული ბანაკი, რომ ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ საბჭოთა სახელმწიფოს თანმიმდევრულმა ბრძოლამ მოუხვეჭა მას დიდი ავტორიტეტი და მსოფლიოს ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანის ნდობა. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენი ქვეყნის ყველაზე გაბოროტებული მტრებიც კი აღიარებენ, რომ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირში წლითიწლობით ხდება მეურნეობის, კულტურისა და ხალხის კეთილდღეობის მნიშვნელოვანი აღმავლობა. საბჭოთა საზოგადოების ერთიანობა ჯერ არასოდეს არ ყოფილა ესოდენ მონოლითური, საბჭოთა ხალხების ძმური შეგობრობა ჯერ არასოდეს არ ყოფილა ისე მტკიცე და ურღვევი, როგორც ამჟამად არის. **(ტაში).** მართალია, საზღვარგარეთ ასეთი პოლიტიკოსებიც აღმოჩნდნენ, რომლებმაც ჩვენი ქვეყნის დასუსტებად მიიჩნიეს ის ფაქტი, რომ ხალხის მტერი ბერია მხილებული და უვნებელყოფილია, მაგრამ ესენი არიან ბეცი პოლიტიკოსები. ყველასთვის ნათელია, რომ რაკი მოხერხდა იმპერიალიზმის პირწავარდნილი აგენტის მხილება და დროზე უვნებელყოფა, ეს არამც და არამც არ მოწმობს საბჭოთა სახელმწიფოს დასუსტებას. **(მჭუხარე ტაში).**

ცნობილია, რომ საზღვარგარეთ ომის მომხრეები დიდხანს ინუგეშებდნენ თავს ილუზიით, ამერიკის შეერთებულ შტატებს მონოპოლია აქვთ ატომური ბომბის წარმოების საქმეშიო. მაგრამ ცხოვრებამ ცხადყო, რომ ესეც დიდი შეცდომა იყო. შეერთებული შტატები უკვე დიდი ხანია აღარ არიან მონოპოლისტები ატომური ბომბის წარმოების საქმეში. ამ უკანასკნელ ხანს მშვიდობის ოკეანესგადმელმა მოწინააღმდეგეებმა ახალი ნუგეში ჰპოვეს. შეერთებულ შტატებს, თურმე ნუ იტყვით, ატომურ ბომბზე მძლავრი იარაღი აქვთ, ისინი წყალბადის ბომბის მონოპოლისტები არიან. ეს, ალბათ, რაღაც ნუგეში იქნებოდა მათთვის, სინამდვილეს რომ შეეფერებოდეს. მაგრამ ეს ასე როდია. მთავრობას საჭიროდ მიაჩნია მოახსენოს უმაღლეს საბჭოს, რომ შეერთებული შტატები მონოპოლისტები არ არიან წყალბადის ბომბის წარმოებაშიც. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

როგორც ხედავთ, დამაჯერებელი ფაქტები ამსხვრევენ ლაყბობას სსრ კავშირის „სისუსტის“ შესახებ. მაგრამ ისინი, ვინც ასეთ ლაყბობას ეწევა, ამჯობინებენ საქმე ჰქონდეთ არა ფაქტებთან, არამედ მონაჩმახთან და მონაჭორთან.

ასე იქცევა ზოგიერთი ოფიციალური მოღვაწეც კი, რომელიც გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე აგრესიული ჯგუფების იდეოლოგიასა და პოლიტიკას. სარგებლობენ რა ყოველგვარი მონაჩმახით და მონაჭორით, ისინი თავს ახვევენ ეგრეთწოდებული „მაგარი კურსის“ განხორციელებას საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიმართ, ზეგავლენას ახდენენ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ურჩ პარტნიორებზე, სისტემატურად ამწვავებენ საერთაშორისო ურთიერთობას.

„მაგარი კურსის“ პოლიტიკის მომხრეები არ წყვეტენ მუქარას საბჭოთა კავშირის მისამართით. ისინი აშკარად მოუწოდებენ, როგორც ამას აკეთებს, მაგალითად, სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე სენატორი უაილი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირს წარუდგინონ მთელი რიგი ულტიმატური მოთხოვნები და „ისინი ძალით განამტკიცონ“. სახელმწიფო დეპარტამენტის თვალსაჩინო წარმომადგენლები დაჟინებით მოითხოვენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირთან ილაპარაკონ მხოლოდ ერთი ენით, „ძალის ენით“.

ჩვენ ვუპასუხებთ ბატონ უაილს და ყველას, ვინც ქადაგებს ძალის პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ, ვუპასუხებთ ისე, რომ წვრილმანებს არ შევეხებით: „ხუმრობ, ნათლიდედ, იმ ფეხით როდი დაიწყე ცეკვა“. **(დარბაზში საერთო სიცილია, მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების ახლანდელი ეტაპი განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგებია. დანაშაული იქნებოდა კაცობრიობის წინაშე, თუ საერთაშორისო ატმოსფეროს დაძაბულობის ერთგვარი შენელება, რაც ბოლო დროს დაინახა, ადგილს დაუთმობდა დაძაბულობის ახალ გაძლიერებას.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკა ნათელია.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად და მტკიცედ განახორციელებს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პოლიტიკას, განავითარებს თანამშრომლობასა და საქმიან ურთიერთობას იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც თავის მხრივ ესწრაფვიან ამას, განამტკიცებს ძმურ შეგობრობასა და სოლიდარობას დიდ ჩინელ ხალხთან, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანასთან.

ჩვენ მტკიცედ ვიცავთ იმ პოზიციას, რომ ამჟამად არ არის ისეთი სადავო ან გადაუჭრელი საკითხი, რომლის გადაჭრაც არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით დაინტერესებული ქვეყნების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

ეს შეეხება იმ სადავო საკითხებსაც, რომლებიც არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. ჩვენ ვემხრობოდით და ვემხრობით ორი სისტემის მშვიდობიან თანაარსებობას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ არ არსებობს ობიექტური საფუძველი შეჯახებებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. ორივე სახელმწიფოს უშიშროების, ისევე როგორც საერთაშორისო უშიშროების ინტერესები, შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ვაჭრობის განვითარების ინტერესები შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას ორივე ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობის ბაზაზე.

ჩვენს დროში ყოველი ქვეყნის მთავრობა, თუ მას სერიოზულად აწუხებს თავისი ხალხის ბედი, მოვალეა განახორციელოს ღონისძიებანი, რათა საქმით შეუწყოს ხელი სადავო საერთაშორისო საკითხების მოწესრიგებას. რასაკვირველია, დიდ როლს შეასრულებდა დიდ სახელმწიფოთა მოლაპარაკება. რა თქმა უნდა, საამისოდ უნდა შეიქმნას სათანადო წინაპირობები.

ამ უკანასკნელ ხანს ინგლისსა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში ძლიერდება ფართო საზოგადოებრიობის მოთხოვნები, რომ განხორციელდეს ეფექტიანი ღონისძიებანი საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად. ამ ქვეყნების პოლიტიკურ წრეებში ძლიერდება სადავო საკითხების მოწესრიგების შესაძლებლობის აღიარება. მაგრამ დღეს საკმარისი აღარ არის ამ შესაძლებლობის მარტო სიტყვიერი აღიარება.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა 16 აპრილს ამერიკის რედაქტორთა საზოგადოებაში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ არც ერთი სადავო საკითხი, „დიდი იქნება იგი თუ მცირე, გადაუჭრელი არ არის, თუ არსებობს ყველა სხვა ქვეყნის უფლებათა პატივისცემის სურვილი“. ეს არის მნიშვნელოვანი განცხადება, რომელსაც შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ნამდვილი პოლიტიკა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ამ განცხადებას შეურიგებლად ეწინააღმდეგება.

თუ სერიოზულად ლაპარაკობენ ყველა ქვეყნის უფლებათა პატივისცემის შესახებ, ხელი უნდა აიღონ აგრესიულ პოლიტიკაზე, უნდა დაადგენენ საერთაშორისო საკითხთა მოწესრიგების გზას დაინტერესებულ მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

თუ სერიოზულად ლაპარაკობენ ყველა ქვეყნის უფლებათა პატივისცემის შესახებ, ბოლო უნდა მოეღოს ჩინეთის უგულებელყოფის პოლიტიკას და აღდგენილ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დარღვეული უფლებები გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში. **(მჭუხარე ტაში).** დიდმა ჩინეთის სახელმწიფომ თავისი კანონიერი ადგილი უნდა დაიკავოს როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ისე საერთაშორისო ურთიერთობის მთელ სისტემაშიც. **(ხანგრძლივი ტაში).**

მთელი თანამედროვე ვითარება ხაზგასმით აღნიშნავს დიდ სახელმწიფოთა განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოლაპარაკებისა და სადავო საკითხთა მოწესრიგების გზით საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება სწორედ მათ აკისრებს მთავარ პასუხისმგებლობას საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის.

მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ძირეული ინტერესები მოითხოვს, რომ დიდმა სახელმწიფოებმა ყოველი ღონე იხმარონ, რათა უზრუნველყოფილ იქნას ნამდვილი პროგრესი შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღისა და ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის აკრძალვის საქმეში.

კაცობრიობის სასარგებლოდ ზოგიერთმა დიდმა სახელმწიფომ ხელი უნდა აიღოს ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების საკითხისადმი წინასწარ აკვიატებულ მიდგომაზე.

საბჭოთა კავშირი თავის მხრივ მზად არის ყველაფერი გააკეთოს, რაც კი საჭიროა ამ საკითხების დადებითი გადაწყვეტისათვის.

უნდა გადაწყდეს ისეთი გადაუდებელი საკითხებიც, როგორიც არის გერმანიის საკითხი, რომელსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

გერმანიის საკითხი შეიძლება მოწესრიგდეს და კიდევაც უნდა მოწესრიგდეს. ამისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ ევროპის ყველა სახელმწიფოს უშიშროების და უწინარეს ყოვლისა გერმანიის დასავლეთი და აღმოსავლეთი მეზობლების უშიშროების განმტკიცების ინტერესები და ამასთანავე გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესები. ამისათვის საჭიროა ხელის აღება აგრესიულ სამხედრო ბლოკში გერმანიის შეყვანის პოლიტიკაზე, აგრესიული მილიტარისტული გერმანიის აღორძინების პოლიტიკაზე.

ჩვენგან მოითხოვენ, რომ დავთანხმდეთ აგრესიული მილიტარისტული გერმანიის აღორძინებაზე, და ამასთან თავს ნებას აძლევენ ილაპარაკონ მშვიდობის უზრუნველყოფაზე ევროპაში. მაგრამ იმისათვის კი არ დაუღვრია ჩვენს ხალხს მილიონობით თავისი შვილის სისხლი მილიტარისტული გერმანიის წინააღმდეგ ომში, რომ კვლავ ააღორძინოს ომის ეს ყველაზე საშიში კერა ევროპაში. **(მჭუხარე ტაში).**

დიდმა სახელმწიფოებმა ვალდებულება იკისრეს კი არ დაანგრიონ, არამედ შეინარჩუნონ გერმანიის ეროვნული ერთიანობა, გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას კი არ შეუწყონ ხელი, არამედ უზრუნველყონ გერმანიის გარდაქმნა მშვიდობისმოყვარე დემოკრატიულ სახელმწიფოდ. საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს იხმარს, რომ თავის მხრივ ხელი შეუწყოს ამ ვალდებულებათა შესრულებას.

გერმანელმა ხალხმა სერიოზული დასკვნები გამოიტანა საკუთარი ისტორიიდან. იგი არ მოისურვებს კვლავ დაღვაროს თავისი სისხლი მილიტარისტული ხროვის ინტერესებისათვის, რომელსაც უკვე არაერთხელ მიუყვანია გერმანია კატასტროფამდე.

მილიტარისტული გერმანია, სულ ერთია, გამოვა იგი თავისი წინანდელი სამოსელით თუ „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შირმით, საფრანგეთისა და სხვა მეზობელი სახელმწიფოების მოსისხლე მტერია. ამიტომ ყოველი ცდა — მიაჯაჭვონ საფრანგეთი „ევროპის თავდაცვითს გაერთიანებას“ — იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ საფრანგეთი ხელში ჩაუგდონ გერმანელ რევანშისტებს.

ფრანგი ერი ეძებს გამოსავალს ჩიხიდან, რომელშიც საფრანგეთი აღმოჩნდა უცხოეთის დიქტატისადმი დამორჩილების შედეგად. გამოსავალი, უეჭველია, არის. ეს არის ის, რომ იგი დაუბრუნდეს დამოუკიდებელ, საკუთარ საგარეო პოლიტიკას, რომელიც განამტკიცებს საფრანგეთის უშიშროებას და საფრანგეთის აღორძინების ინტერესების შესაბამისი იქნება.

ჩვენ მხურვალედ ვუსურვებთ ფრანგ ხალხს, რომელთანაც ჩვენი ხალხი დაკავშირებულია მრავალი წლის მეგობრობით და საერთო მტრის — გერმანელი მილიტარისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ერთად დაღვრილი სისხლით, წარმატებებს ამ გზაზე. **(ტაში).** ჩვენ არ ვიღწყებთ იმას, რომ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს აქვთ კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც შეიძლება იყოს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების ბაზა, ემსახუროს ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საქმეს.

საჭიროა აგრეთვე მოწესრიგდეს ავსტრიის საკითხი, რაც გულისხმობს უწინარეს ყოვლისა იმას, რომ აღმოიფხვრას ხელოვნური დაბრკოლებანი, როგორიც არის „შემოკლებული ხელშეკრულება“, რომელიც ეწინააღმდეგება ოთხ სახელმწიფოს შორის არსებულ შეთანხმებებს. სადავოდ ვერავინ გახდის იმასაც, რომ გერმანიის საკითხის სწორად გადაჭრა ხელს შეუწყობდა აგრეთვე ავსტრიის საკითხის გადაჭრას.

მშვიდობის განმტკიცების საქმისათვის დიდმნიშვნელოვანი პირობაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ავტორიტეტისა და როლის ამაღლება. ახლა ეს საერთაშორისო ორგანიზაცია ფაქტიურად დიდი კრიზისის მდგომარეობაშია, რადგან იგი დააქვეითეს ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის ერთ-ერთი ბერკეტის როლამდე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნდა დაუბრუნდეს იმ გზას, რომელიც განსაზღვრულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პირდაპირი მოვალეობაა ხელი შეუწყოს საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგებას და გამორიცხოს აგრესიის შესაძლებლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველი მონაწილის მხრივ სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობა ენერგიულად შეუწყობს ხელს ამ საქმეს. **(ტაში).**

საბჭოთა კავშირი განუხრელად ახორციელებს და კვლავაც განახორციელებს სამშვიდობო პოლიტიკას. საბჭოთა კავშირი არ აპირებს თავს დაესხას ვისმე. მისთვის უცხოა აგრესიული ზრახვები. ყველა ქვეყნის ხალხებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ ამაში. **(მჭუხარე ტაში).**

მაგრამ, მედგრად ვიბრძვით რა მშვიდობის საქმისათვის, ჩვენ ამავე დროს მტკიცედ უნდა გვახსოვდეს ჩვენი წმიდა მოვალეობა — დაუცხრომლად განვამტკიცებდეთ და სრულყოფდეთ დიდი საბჭოთა კავშირის თავდაცვას. ჩვენ მოვალენი ვართ ვაკეთებდეთ ამას იმ შემთხვევისათვის, თუ ვისმე აზრად მოუვა ჩაიდინოს უგუნურება და შეეცდება დაარღვიოს ჩვენი სამშობლოს უშიშროება. საბჭოთა ადამიანები ყოველ მომენტში მზად უნდა იყვნენ გაუგრილონ გახურებული თავი ყველა ჯურის ავანტიურისტებსა და ომის პროვოკატორებს და აიძულონ ისინი პატივი სცენ სოციალისტურ მონაპოვართ და საბჭოთა კავშირის ძლიერებას. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა მთავრობისათვის, ყველა ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის საქმე ტაქტიკისა და დიპლომატიური მანევრირების საკითხს როდი წარმოადგენს. ეს ჩვენი გენერალური ხაზია საგარეო პოლიტიკის დარგში. **(მჭუხარე ტაში).**

ასეთია მილიონობით ადამიანს სწამს და იმედი აქვს, რომ უახლოესი მომავალი მოიტანს საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას. უნდა ვაზრუნნოთ ამისათვის, რომ ხალხებს არ გაუცრუვდეთ თავიანთი მოლოდინი და იმედები.

III.

ჩვენი საქმე უძლეველია

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა შეესაბამება სსრ კავშირის ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ამიტომ იგი სარგებლობს მათი უსაზღვრო მხარდაჭერით.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და სიმტკიცის, კომუნიზმის მშენებლობის საქმეში მისი წარმატებების დიდი წყაროა საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, მისი დარაზმულობა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. საბჭოთა კავშირი მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოა, რომელიც აღსავსეა შემოქმედებითი ძალებით და წარმატებით მიდის წინ, კომუნისტური საზოგადოების შექმნის გზით.

ჩვენს ქვეყანაში არსებულ სოციალისტურ წყობილებას უდიდესი შესაძლებლობანი აქვს ჩვენი ეკონომიკის ახალი, კიდევ უფრო მძლავრი განვითარებისა და კულტურის აყვავებისათვის, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. და ჩვენ გამოვიყენებთ ყველა ამ შესაძლებლობას, რათა უზრუნველვყოთ საბჭოთა საზოგადოების შემდგომი ყოველმხრივი პროგრესი და მისი თანდათანობით გადასვლა კომუნიზმში. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ეს ასეც იქნება. **(მჭუხარე ტაში).**

ყველაფერს, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, როდესაც ვამხილებთ და აშკარად ვაკრიტიკებთ ნაკლოვანებებს, რომლებზეც ლაპარაკია უმაღლესი საბჭოს ახლანდელ სესიაზე და მთელ ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში, ჩვენ ვაკეთებთ არა იმისათვის, რომ თავი დავაღწიოთ ეკონომიურ კრიზისს ან ეკონომიურ დეპრესიას. რაზედაც მუდამ იტეხენ თავს კაპიტალისტური სახელმწიფოები. ჩვენ ამას ვაკეთებთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ ჩვენი სოციალიზმის მეურნეობა და მრეწველობა, მთლიანად ჩვენი ეკონომიკა, კიდევ უკეთ გამოვიყენოთ სოციალისტური მეურნეობის ყველა შესაძლებლობანი და გავაუმჯობესოთ ხალხის კეთილდღეობა, რათა კიდევ უფრო მტკიცე გავხადოთ ჩვენი მძლავრი სოციალისტური სამშობლო. **(მჭუხარე ტაში).**

ყველა ბურჟუაზიული პარტიისა და სახელმწიფოსაგან განსხვავებით, რომლებიც ნიღბავენ თავიანთ ჭეშმარიტ მიზნებსა და პოლიტიკას, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიზნები და პოლიტიკა ნათელი და ცხადია მთელი ხალხისათვის.

ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებელი ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ „სახელმწიფო ძლიერია მასების შეგნებულობით. იგი ძლიერია მაშინ, როცა მასებმა ყველაფერი იციან, ყველაფერზე შეუძლიათ იმსჯელონ და ყველაფერზე შეგნებულად მიდიან“.

ამიტომ პარტია დაუცხრომლად მუშაობს მასების პოლიტიკური და კულტურული დონის ასამაღლებლად. საბჭოთა სახელმწიფო და კომუნისტური პარტია სისტემატურად ზრდიან მასებს საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, სოციალისტური საკუთრებისადმი ყაირათიანი დამოკიდებულების, სახელმწიფო ინტერესების ზედმიწევნთ გაგების სულისკვეთებით, რევოლუციური სიფხიზლის, ხალხთა მეგობრობის განმტკიცების სულისკვეთებით.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ იციან, საით და როგორ წაიყვანონ ხალხი, იმიტომ რომ ისინი ხელმძღვანელობენ საზოგადოებრივი განვითარების მეცნიერული თეორიით — მარქსიზმ — ლენინიზმით, რომლის დროშა მაღლა ასწიეს ჩვენმა მამამ და მასწავლებელმა გენიალურმა ლენინმა და მისი საქმის განმგრძობმა დიდმა სტალინმა. **(მჭუხარე ტაში).** საბჭოთა სახელმწიფო და კომუნისტური პარტია აიარაღებენ ხალხს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის მოძღვრების საფუძველზე საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების, კომუნიზმის მშენებლობის კანონების ღრმა ცოდნით და ამით ნათელ პერსპექტივას აძლევენ საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს საქმიანობას.

ჩვენი მძლავრი და ყველა საბჭოთა ადამიანისათვის მშობლიური კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის და გარეშე მტრების ხელყოფისაგან ჩვენი სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფისათვის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა აყვავებისათვის. **(მჭუხარე ტაში).**

პარტიის რკინისებური ერთიანობა, პარტიის ხელმძღვანელი როლი სახელმწიფოში, საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცე და ძალა და ხალხის ინტერესები განუყოფელია.

საბჭოთა ხალხს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ კომუნისტური პარტია და მთავრობა ძალღონესა და შრომას არ დაიშურებენ ყველა საბჭოთა ადამიანის ბედნიერი, უზრუნველყოფილი და სასიხარულო ცხოვრებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი ამოცანის განხორციელებისათვის. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირთან ერთად იზრდება და მტკიცდება მთელი დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე ბანაკი. სახალხო დემოკრატიის ქვეყნები მტკიცე რწმენით მიდიან წინ. მთელი დემოკრატიული ბანაკი მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, შეუპოვარ მუშაობას ეწევა ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სამართლიანად ფიქრობენ, რომ გლეხობასთან მუშათა კლასის მჭიდრო კავშირის განმტკიცება მათი წარმატებითი წინსვლის აუცილებელი პირობა და საწინდარია. ცხადია, რომ მხოლოდ ამ ნაკადი ლენინური პოლიტიკის განუხრელი განხორციელებით შეიძლება გადაიჭრას სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინაშე მდგომი ყველა ამოცანა.

საერთაშორისო ურთიერთობის დარგში სახალხო დემოკრატიის ქვეყნები საბჭოთა კავშირთან ხელიხელჩაკიდებულნი მტკიცედ იცავენ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმეს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანა ახორციელებს თავის დამოუკიდებელ ეროვნულ საგარეო პოლიტიკას, პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება მათი ხალხების სასიცოცხლო ინტერესებს. ახლა იმპერიალისტურ ძალებს აღარ შეუძლიათ სათამაშოდ ჰქონდეთ იმ ხალხთა ბედი, რომლებმაც სამუდამოდ მოუღეს ბოლო იმპერიალისტებისაგან დამოკიდებულებას. ეს ცოფსა ჰგვრის სხვისი ხელით ნარის გლეჯისა და ხალხთა ექსპლოატაციის მოყვარულთ. მაგრამ რა ესაქმებათ ამასთან სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს — ისინი ახალ გზას დაადგნენ და ამ გზას არასოდეს არ გადაუხვევენ. **(მჭუხარე ტაში).**

ვისაც არ ესმის ის, რომ 800 მილიონ ადამიანს, რომლებიც დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების ხალხთა დიდ ოჯახს შეადგენენ, ხელს ვერ ააღებინებ მათ მიერ სისხლითა და ოფლით მიღწეულ ისტორიულ მონაპოვარზე, ხელს ვერ ააღებინებ საკუთარ სახალხო ხელისუფლებაზე და ვერ აღადგენინებ ექსპლოატატორთა ხელისუფლებას, იგი პირდაპირ სულელურ დდგომარეობაში იყენებს თავს. მთელი მსოფლიოსათვის ნათელია, რომ აგრესიული ძალები უკუღმა ვერ დაატრიალებენ ისტორიის ჩარხს. ვისაც სურს ფხიზელ პოლიტიკას ახორციელებდეს საერთაშორისო საკითხებში, იგი რეალური სინამდვილის ნიადაგზე, ფაქტების ნიადაგზე უნდა იდგეს, მიუხედავად იმისა, სასიამოვნოა ისინი თუ არა.

უნდა შევიგნოთ, რომ ძალების ახლანდელი თანაფარდობის დროს, საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების მტკიცე გადაწყვეტილების დროს — დაიცვან თავიანთი სასიცოცხლო ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე, ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის განხორციელება წარმოადგენს არა მარტო დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების მოვალეობას, არამედ ყველა ქვეყნის მოვალეობასაც. ვინაიდან სხვა გზა უიმედო ავანტიურებისა და გარდუვალი მარცხის გზაა.

დემოკრატიული მტკიცედ დარაზმული ბანაკი, რომელიც კაცობრიობის ერთ მესამედს აერთიანებს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების მძლავრი ფაქტორია. მთელი კაცობრიობა დემოკრატიული ბანაკის ხალხებს უნდა უმადლოდეს, რომ იგი მძლავრ ზღუდედ დგას ყველა იმათ გზაზე, ვინც ისწრაფვის გაიჩაღოს ახალი მსოფლიო ომი. თუ ხალხები ფხიზელნი იქნებიან და თავიანთ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ არ დაუშვან აგრესორთა გეგმების განხორციელება, — მშვიდობა უზრუნველყოფილ იქნება. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! საბჭოთა ქვეყნის წინაშე დიადი ამოცანები დგას. ამ ამოცანების განხორციელება ახალ სიმაღლეზე აიყვანს ჩვენს სამშობლოს, გამოიწვევს ხალხის კეთილდღეობის აღმავლობას, სოციალისტური საზოგადოების ყოველმხრივ აყვავებას.

ყოველ ჩვენგანს მხნეობასა და მტკიცე რწმენას უნერგავს საბჭოთა ხალხის მონოლითური ერთიანობა, მისი უდიდესი დარაზმულობა მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი თავიანთ ძალღონეს მოახმარენ ჩვენს წინაშე მდგომი ისტორიული ამოცანების გადაწყვეტას.

ჩვენი საქმე უძლეველია!

ჩვენ მტკიცე რწმენით წავალთ წინ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების გზით. **(მჭუხარე ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. ყველანი ფეხზე დგებიან).**

რედაქტორი დ. მჟელიშვილი.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი—3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის და ხოფლის მეურნეობის 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების და საქმეთა მმართველობის—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 03478 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.